ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 11 ივლისი, 2023 №134 (9170) ფასი: 80 თეთრი

## გიორგი ბაჩიაშვილის ადვოკატი: „ბიძინა ივანიშვილის ადვოკატის პრეტენზიები თავხედურად არ შეესაბამება სიმართლეს“



გვ.5



გვ.5

## კობა ხარშილაძე: „თუ გაიგეთ, რაში იყო კომპანია „გრინ სერვისი“ დამნაშავე, მე ხელები ამიწევია“

# ონკოლოგიური პაციენტი ბავშვების უცხოეთში მკურნალობას სახელმწიფო დააფინანსებს



გვ.2

18 წლამდე პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა გარდამავალი ეტაპი იქნება, ვიდრე საქართველოში არ გაძლიერდება სერვისები და არ შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო ცენტრი, სადაც ხელმისაწვდომი იქნება სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი.




გვ.2

## „ოპოზიცია დღეს „ქართული ოცნების“ საქმეს აკეთებს!“

იაგო ხვიჩია: „ხელისუფლება დაადგა ძალაუფლების შენარჩუნების გზას“



## „ოცნება“ პროდასავლური ხელისუფლების როლს უნიჭოდ თამაშობს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ქართული ოცნება“ ამ ქვეყანას არც ნატოში, არც ევროკავშირში და არცერთ დასავლურ, დემოკარტიული ღირებულებების ერთგულ ალიანსში ვერ გააწევრიანებს“




გვ.3

## ელის თუ არა რაიმე პერსპექტივა საქართველოს ვილნიუსის ნატოს სამიტზე?




გვ.4



გვ.2

## გიორგი ბარამიძე: „პუტინი არის საქართველოს მტერი“...

შალვა პაპუაშვილი: „შევადაროთ ნატოს წევრ ქვეყნებს რამდენ პარამეტრში ვუსწრებთ“



გვ.3



გვ.5

## ვაკის პარკის საქმეზე გამართლებული პირი: „სასამართლოსგან სულ სხვა რაღაცას ველოდით“

## ვაზისუბანში ბაბუა და შვილიშვილი დაჭრეს — დაკავებულია ერთი პირი




გვ.5




გვ.7

## ჩაკვეტაძეს მეცში ელოდებიან, პარკაძე ბაიერნის განაცხადშია

1993230720223

**3** ნიკა გვარამია: „მართლა პატარა სოფლად გადაგვაქცია ივანიშვილმა“

**4** ირაკლი ზარქუა: „პატიმარი სააკაშვილი ადეკვატურიაო, როგორ გითხრათ?!“

**6** 44-კილოგრამიანი ლოქო შიშველი ხელებით დაიჭირეს

**6** ბახმუტი უკრაინული არმიის ალყაშია

# „ოპოზიცია დღეს „ქართული ოცნების“ საქმეს აკეთებს!“

## იაგო ხვიჩია: „ხელისუფლება დაადგა ძალაუფლების შენარჩუნების გზას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „გირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.

***– ბატონო იაგო, დღეს ვილნიუსში ნატოს სამიტი იმართება. საქართველო იმსახურებს ნატოს წევრობასო, ვისმენთ „ქართული ოცნების“ ლიდერების შეფასებებს. რა შანსები გვაქვს, რა გზავნილებს ელოდებით და რამდენად ცდილობს ჩვენი ხელისუფლება, რომ ჩვენთვის ნატოს კარი გაიღოს?***

– ვერ გეტყვით, რა შანსები გვაქვს. მე მგონი, მთავარი გამოწვევა მაინც ის არის, რომ ჯერჯერობით მაინც დავდივართ ნატოს სამიტებზე. თუმცა, ნატოსკენ რეალურად რომ ვდგამდეთ ნაბიჯებს, ეს არ ჩანს. ფორმალურად, ერთი შეხედვით, მივდივართ. კონსტიტუციაშიც კი გვიწერია, მაგრამ რეალობა განსხვავებულია.

***– უკრაინასთან დაკავშირებითაც არ კეთდება დიდად დამაიმედებელი განცხადებები. გაქვთ მოლოდინი, რომ უკრაინას მაინც გაუღებენ ნატოს კარს?***

– უკრაინა კარგი ტესტია რაღაც თვალსაზრისით. თუ ვინმე იმსახურებს ამ სამყაროში ნატოს წევრობას, ეს უკრაინაა და ეს ჩვენთვისაც დაკვირვების საშუალება იქნება.

***– „ოცნება“ აცხადებს, რომ ჩვენი ქვეყანა იმსახურებს ნატოს წევრობას. მეორე მხრივ კი, სულ გვესმის შეფასებები, ხელისუფლება არ ატარებს რეფორმებს, არ დგამს დემოკრატიულ ნაბიჯებს. ამ ფონზე რა მოლოდინი გაქვთ?***

– არანაირი მოლოდინი არ მაქვს, რომ ეს ხელისუფლება ახლა უცებ დემოკრატიული გახდება. ველოდები, სადამდე მივლენ, კიდევ რითი გაგვაოცებენ. ხომ ნახეთ, ჯარის კანონზე რა არ იკადრეს იმისთვის, რომ კანონი გაიტანონ.

***– ქვეყნის თავდაცვაც ხომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, როდესაც პრეტენზია გაქვს ნატოს წევრობაზე. რამდენად დემოკრატიული კანონია? ბევრ შეფასებას ვისმენთ, მხოლოდ მდიდრებზე მორგებული კანონპროექტიაო. თქვენ რას იტყვით?***



– არავისზე არის ეს კანონი მორგებული. ეს კანონი მორგებულია „ქოცების“ მხრიდან არჩევნების მოგებაზე. უნდათ, რომ ხალხი შეაშინონ არჩევნების წინ, თუ ხმას ნომერ 41-ს არ მიცემენ, ჯარში იძულებით წაიყვანენ. არ არსებობს ინტერესთა ჯგუფი, გარდა ოცნებისა, რომლებიც ფიქრობენ, რომ სუს-ის გამოყენებით ხალხს შეაშინებენ. არ არსებობს სხვა ჯგუფი, ვისთვისაც შესაძლოა, ეს კანონი კარგი იყოს.

***– რამდენად შეძლებთ, რომ „ქართულ ოცნებას“ წინააღმდეგობა გაუწიოთ? ითქვა, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი ჩუმ-ჩუმად ეხმარება უმრავლესობას, რომ გავიდეს კანონი. რა მოლოდინი გაქვთ?***

– ზოგადად, ხელისუფლებას ოპოზიცია სულ ეხმარება და დარწმუნებული ვარ, დღევანდელ კენჭისყრაზეც დაეხმარება. ეს გამოჩნდება რეგისტრაციის დროს. 76-კაციან ქვორუმს „ქოცებს“ შეუკრავენ თუ არა. ძალიან მეეჭვება, რომ „ქოცებს“ დღეს 76 დეპუტატი ჰყავდეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ოპოზიციის იმედად აკეთებენ ამას. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ დღეს ოპოზიციამ არ გააკეთოს „ქოცების“ საქმე.

***– შესაძლოა, ოპოზიციამ დღეს „ქართული ოცნების“ საქმე გააკეთოს?***

– ეს სულ ხდებოდა. აქამდე იყო როსტომ ჩხეიძის მაგალითი, იყო სხვაც, სადაც ვხედავდით, თუ როგორ ეხმარებოდა ოპოზიცია „ქოცებს“. არც დღეს გამოვრიცხავთ მსგავს სიტუაციებს, მაგრამ მაქსიმალურად შევეცდებით, დისკომფორტი შევუქმნათ ასეთ ხალხს.



***– სულ უფრო მეტად ახლოვდება გადაწყვეტილების მიღების დრო, გვექნება თუ არა კანდიდატის სტატუსი. ხელისუფლება აცხადებს, რომ 12-ვე პუნქტი შევასრულეო. რამდენად სანდოა ხელისუფლების განცხადება და როგორ აფასებთ ამ კუთხით მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს? ან რა შანსები გვაქვს, მივიღებთ თუ არა კანდიდატის სტატუსს?***

– კანდიდატის სტატუსს მივიღებთ თუ არა, ამის თქმა რთულია, ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. აი, 12 პუნქტს რაც შეეხება, „ქართულ ოცნებას“ არც კი უცდია მათი შესრულება. ის ნაბიჯები, რაც მათ გადადგეს, არანაირად არ შეიცავდა გულწრფელ ელემენტებს და საერთოდ, სხვა რამისკენ იყო მიმართული. მიმართული იყო იქეთკენ, რომ საერთოდ არაფერი გაკეთებულიყო. ეცადნენ იმას, რომ მათ ხელისუფლებასა და ძალაუფლების ვერტიკალს საფრთხე არ დამუქრებოდა.

***– არის იმის შანსი, რომ თუნდაც პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოს ევროკავშირმა და მოგვცეს კანდიდატის სტატუსი?***

– მე, ზოგადად, ოპტიმისტი ადამიანი ვარ. ოპტიმისტურად ვუყურებ სამყაროს. აქაც ვცდილობ, უკეთესის მოლოდინი მქონდეს, ვიდრე უარესის.

***– ბოლო პერიოდში იმატა კრიტიკამ „ოცნების“ მისამართით, გაააქტიურეს და დაგეშეს ჰომოფობიური ჯგუფებიო. თუნდაც ბოლო პრაიდის ინციდენტი ავიღოთ. რას ცდილობენ, რა გზას დაადგნენ?***

– ხელისუფლება დაადგა ძალაუფლების შენარჩუნების გზას. მოკლედ ასე შეგვიძლია შევაფასოთ. ამისთვის იყენებს ამ თემასაც – მე ვიცავ ოჯახის სიწმინდეს. ხელისუფლება, რეპუტაციას ადამიანების თვალში არაფრად დაგიდევს და ყველაფერს აკეთებს ძალმომრეობით. როგორც ჩანს, მათ გადაწყვიტეს, რომ არჩევნების მოგება ძალადობით, ყველაფრის ფასად სცადონ. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საარჩევნო კოდექსი გააყალბეს.

***– ერთპარტიული საარჩევნო კომისია უნდა „ოცნებას“. ანუ რა ხდება, წელიწადნახევრით ადრე იწყებენ არჩევნების გაყალბებას?***

– დიახ, აბსოლუტურად ასეა. სხვა არანაირი მიზანი ამ ფეიკრეფორმას არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ საბოლოო ჯამში ეს იყოს არჩევნების გაყალბების ეფექტური მექანიზმი.

***– რა ბერკეტი აქვს ასეთ სიტუაციაში ოპოზიციას? რით შეუძლია დაუპირისპირდეს ხელისუფლებას?***

– რა ბერკეტიც გვაქვს, იმას მაქსიმალურად ვიყენებთ და ვცდილობთ, დავუპირისპირდეთ. ზოგადად, ოპოზიციაც ჭრელია. ყველა თავის გადმოსახედიდან უყურებს შექმნილ სიტუაციას. გვაჩვენებს გასავლელი გზა, თუ როგორ მივა ოპოზიცია არჩევნებამდე, გაერთიანდებიან, თუ რას მოიმოქმედებენ. ზოგადად, 5%-იანი ბარიერი ბევრ ოპოზიციურ პარტიას უბიძგებს გაერთიანებისკენ. თუმცა, საბოლოო ჯამში, როგორ დალაგდება ეს ამბავი და ვინ ვისთან ითანამშრომლებს, ამას დრო გვაჩვენებს.

***– სულ ვისმენთ შეფასებებს, რომ თუ ასე გაგრძელდა სიტუაცია, 2024-ში ისევ ნაც-ქოცურ პარლამენტს მივიღებთო. რამდენად უშვებთ, რომ ასე იქნება?***

– ყველაფერს ვუშვებ, მათ შორის ამ ვერსიასაც, მაგრამ არ მინდა, ამ ჯოჯოხეთურ ვერსიაზე ვიფიქრო. რამე სხვა ვერსია მირჩევნია.

## გიორგი ბარამიძე: „პუტინი არის საქართველოს მტერი“...




– პუტინი არის საქართველოს მტერი. ეს აქამდეც ძალიან კარგად ვიცოდით ყველა ნორმალურმა ქართველმა და ეს კიდევ ერთი ნაბიჯია იმ მიმართულებით, რასაც საქართველოს მტრობა, საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია და ანექსია ჰქვია, – ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრმა, გიორგი ბარამიძემ განაცხადა, რითაც „ორმაგი მოქალაქეობის საკითხების დარეგულირების შესახებ რუსეთსა და აფხაზეთს შორის შეთანხმების რატიფიცირების შესახებ“ კანონზე პუტინის ხელმოწერას გამოეხმაურა.

– ვიცით, რომ ამას პუტინისტური, მოღალატეობრივი რეჟიმი არანაირად არ გაითვალისწინებს, მაგრამ ეს ყველაფერი აუცილებლად უკან დაუბრუნდება პუტინს და საქართველოს ინტერესები აუცილებლად იქნება დაცული, რადგანაც საქართველო არის სუვერენული ქვეყანა, რომლის მთლიანობა და სუვერენიტეტი არის აღიარებული მთელი ცივილიზებული სამყაროს მიერ, – განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

როგორც ცნობილია, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა „ორმაგი მოქალაქეობის საკითხების დარეგულირების შესახებ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის შეთანხმების რატიფიცირების შესახებ“ კანონს მოაწერა ხელი.

შეთანხმება „არსებულ მოქალაქეობაზე უარის თქმის გარეშე, მეორე ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას“ ითვალისწინებს. ამავე კანონით გათვალისწინებულია შემდეგი: პირს, რომელიც 2008 წლის 26 აგვისტოს მდგომარეობით, აფხაზეთის მოქალაქეობას ფლობდა და ის დღემდე შეინარჩუნა, რუსეთის მოქალაქეობის მიღება გამარტივებული წესით შეეძლება. ასევე, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები მუდმივი ბინადრობის მიხედვით ყველა სოციალური უფლებით ისარგებლებენ და მათ ამ მხარის სამხედრო სამსახურში გაწვევის წესიც შეეხებათ.

# ონკოლოგიური პაციენტი ბავშვების უცხოეთში მკურნალობას სახელმწიფო დააფინანსებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 5 საკითხი განიხილეს.

სხდომაზე განიხილეს პროექტი, რომლის მიხედვითაც ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვს, სახელმწიფო დაფინანსებით, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობა, საქართველოსთან ერთად, თურქეთის, ისრაელისა და ესპანეთის წამყვან კლინიკებში ექნება.

პროექტის წლიური ბიუჯეტი, დაახლოებით, 30 მილიონი ლარია.

უცხოეთში სერვისის მიმწოდებლად, წინასწარი ბაზრის კვლევის საფუძველზე, უკვე შერჩეულია თანამედროვე სტანდარტების, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე მაღალტექნოლოგიური კლინიკები, სადაც ერთ სივრცეში გაერთიანებულია მომსახურების სრული სპექტრი.



პროექტის ფარგლებში, პაციენტებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო სერვისები, მათ შორის, პროტონოთერაპია, რომელიც, გარკვეული ტიპის სოლიდური სიმსივნის სამკურნალოდ, უკანასკნელი სიტყვაა თანამედროვე მედიცინაში.

საკითხის განხილვისას ხაზი გაესვა, რომ ხარისხიან ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში, სახელმწიფოს პრიორიტეტია.

ჯანდაცვის სამინისტროსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები თვის ბოლომდე გაფორმდება, რის შემდეგაც ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვები, სამედიცინო მომსახურებას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ – ესპანეთში, ისრაელსა და თურქეთში საჭიროების მიხედვით მიიღებენ.

18 წლამდე პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა გარდამავალი ეტაპი იქნება, ვიდრე საქართველოში არ გაძლიერდება სერვისები და არ შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო ცენტრი, სადაც ხელმისაწვდომი იქნება სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი. ამ მიმართულებით, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნება“ პროდასავლური ხელისუფლების როლს უნიჭოდ თამაშობს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ქართული ოცნება“ ამ ქვეყანას არც ნატოში, არც ევროკავშირში და არცერთ დასავლურ, დემოკარტიული ღირებულებების ერთგულ ალიანსში ვერ გააწევრიანებს“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე საუბრობს.**

***– ლაშა, შალვა პაპუაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს ნატოში წევრობა პარტიულ პოლიტიკაზე მაღლა უნდა იდგეს. როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ ნატოს გზაზე საქართველოს წინ წაწევს?***

– „ქართული ოცნება“ ამ ქვეყანას არც ნატოში, არც ევროკავშირში და არც ერთ დასავლურ, დემოკარტიული ღირებულებების ერთგულ ალიანსში ვერ გააწევრიანებს. რატომ? ამას ძალიან მარტივი ახსნა აქვს: „ოცნება“ უნიჭოდ თამაშობს პროდასავლური ხელისუფლების როლს.

საბჭოთა ხელისუფლებასაც კი შეშურდებოდა ის რიტორიკა, ის სალანძღავი განცახდებები, შეფასებები, რითაც ესენი გამოდიან მთლიანად დასავლეთისა და დასავლური ღირებულებების წინაალმდეგ. ესენი თავიანთი ბუნებით არიან დასავლეთის, ამერიკის, ევროპის წინაალმდეგნი. ამიტომ წარმოუდგენელია, ამ განცხადებებში გულწრფელი იყოს შალვა პაპუაშვილი, ან არჩილ თალაკვაძე, ან ნებისმიერი მათგანი.

ახლა ნატო მათ დღის წესრიგში მხოლოდ ერთადერთი მიზეზით მოხვდა – ვილნიუსის სამიტის წინ რაღაცაზე ხომ უნდა ილაპარაკონ, ლაპარაკის დონეზე მაინც უნდა შეაჩერონ ყურადღება.

ან რას ნიშნავს ქვეყნის პრემიერი რომ არ წარადგენს სახელმწიფოს ესოდენ მნიშვნელოვან სამიტზე. სხვა უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული რა საქმე გამოუჩნდა ირაკლი ღარიბაშვილს?! რატომ უნდა ვიყოთ მეორე თუ მეოთხე პირით წარმოდგენილები ნატოს სამიტზე. ნატოზე უფრო მნიშვნელოვანი არის ამ ქვეყნისთვის დღეს რამე?! ხომ ესმით ნატოს მნიშვნელობა, თუ არც ეს არ ესმით?! ცხადია, რომ არც ესმით და არც აწყობთ.

ნებისმიერი ხელისუფლებისთვის პირველი დონის ამოცანა უნდა იყოს ამ ქვეყნის უსაფრთხოება, უსაფრთხოების გარანტიები. ნატოზე უფრო დიდი უსაფრთხოების გარანტიები დღეს ბუნებაში არ არსებობს. თუ პუტინისგან ილებენ უსაფრთხოების გარანტიებს, ვერაფერს გეტყვით! 2008 წელს საქართველო ნატოს წევრი რომ ყოფილიყო, ხომ არ შემოიჭრებოდა რუსეთი?! ან უკრაინა რომ ყოფილიყო ნატოს წევრი სახელმწიფო, დღეს ამ დღეში ხომ არ იქნებოდა?! ზელენსკი როგორ იბრძვის, რალაცნაირად ნატოს ქოლგის ქვეშ რომ აღმოჩნდეს მისი სახელმწიფო, ამდენი სისხლისღვრის შემდეგ მაინც, ამას ხომ უყურებენ.

***– პაპუაშვილმა, ნატოს სამიტიდან სამიტამდე მხოლოდ დაპირებებს თუ იმეორებენო.***

– დიახ, გაიმეორებენ, თუ ასეთი სასამართლო გვექნება, თუ ასეთი საარჩევნო სის-



ტემა გვექნება. თუ ასეთი დაუნდობელი იქნება ხელისუფლება ოპოზიციის მიმართ, თუ არავითარ სერიოზულ, მნიშვნელოვან რეფორმას არ გაატარებ ჯარში. როგორც წინა ხელისუფლებას ეგონა, ამათაც ჰგონიათ, რომ მხოლოდ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა არის საკმარისი ნატოს წევრობისთვის. მართალია, ჯარის ყველაზე მეტი რაოდენობით ვიყავით ამ მისიებში წარმოდგენილები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

ან საერთოდ რას ნიშნავს უკვე არსებული სამხედრო ინფრასტრუქტურის ფაქტიურად განადგურება.

***– ვაზიანის სამხედრო ავიაბაზის ტერიტორიაზე სამოქალაქო აეროდრომის აშენებას გულისხმობთ?***

– დიახ, ცხადია. ეს სრულიად წარმოუდგენელი ამბავია. ვაზიანის სამხედრო აეროდრომის აშენებაში და სრული ინფრასტრუქტურის გამართვაში მილიარდებია ჩადებული – ამერიკული, ნატოს თუ სხვა დასავლელი პარტნიორების ფულია ეს.

ვაზიანი არის ძალიან მნიშვნელოვანი სამხედრო ქალაქი. როგორც ვიცი, სტრატეგიული დანიშნულება აქვს, სადაც ნატოს ერთობლივი წვრთნები ტარდება ხოლმე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი სამხედრო ინფრასტრუქტურაა სახელმწიფოსთვის. ასეთი რომ არ გქონდეს, უნდა ააშენო, არათუ დაანგრიო. ძალიან სტრატეგიულ ადგილზე არის გაშენებული, დედაქალაქთან ახლოს – თბილისის დასაცავად ამ ბაზას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მართალია ამბობენ, რომ პარალელურად აშენდება და არაფერი ემუქრება უკვე არსებულ ვაზიანის სამხედრო ინფრასტრუქტურას, მაგრამ, როგორც ექსპერტები ამბობენ, სამხედრო ქალაქის სიახლოვეს სამოქალაქო აეროდრომის აშენება დაუშვებლია, არ შეიძლება. რატომ ვერ მოიძებნა სხვა, ალტერნატიული ტერიტორია?! ეს სერიოზულ კითხვას აჩენს. რატომ მაინცდამაინც იმ ტერიტორიაზე?! ამ კითხვაზე აპირებს პრემიერი პასუხი გასცეს საზოგადოებას?! უმნიშვნელოვანეს სამხედრო ობიექტს, რომელიც მილიარდები დაჯდა, განადგურება ემუქრება. ეს ძალიან სერიოზული საკითხია და ამაზე ბევრად უფრო სერიოზულად უნდა ისაუბროს ხელისუფლებამ, უმაღლესმა პირებმა.

# პაატა მანჯგალაძე: „ხელისუფლება ერთი ხელით ორგანიზებას უწევდა ძალადობრივ ჯგუფებს, მეორე ხელით ვითომ იცავდა ღონისძიებას“

– ქრისტიანობა არ არის განსხვავებულად მოაზროვნე და ცხოვრების წესის მქონე ადამიანების დარბევა და ლინჩის წესით ქვებით განადგურება – კარგი იქნებოდა ორგანიზატორებს „კოკა-კოლებთან“ ერთად, წიგნებიც ჰქონოდათ, მათ შორის, სახარება, იქნებ, ამ ადამიანებს წაეკითხათ. დარწმუნებული ვარ, 99%-ს სახარება წაკითხული არ აქვს, – ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ „პრაიდ ფესტივალის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრისას განაცხადა.



როგორც მან აღნიშნა, ხალხი, რომელიც 21-ე საუკუნეში განსხვავებული ცხოვრების წესის მქონე ადამიანებისთვის ძველი წელთაღრიცხვის ქვებით ჩაქოლვის წესს იყენებს, ევროპაში ვერ შევა.

– გუშინ რაც ვიხილეთ, ძალადობრივი ჯგუფების მიერ კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფის ძალადობრივი დარბევა, ამას არაფერი აქვს საერთო ქრისტიანობასთან, არც ქრისტიანობის დაცვასთან და არც ტრადიციული ღირებულებების დაცვასთან.

ქრისტიანობა არ არის განსხვავებულად მოაზროვნე და ცხოვრების წესის მქონე ადამიანების დარბევა და ლინჩის წესით ქვებით განადგურება. ეს ხალხი წარმოადგენს არა საქართველოს ნათელ მომავალს, რომელმაც ქვეყანა უნდა გააბრწყინოს, არამედ წარმოადგენს შავრაზმულ დაჯგუფებას – რუსულს.

არასწორია, როდესაც ამბობენ, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა დასაცავად. ხელისუფლებამ არა თუ არ იღონა, თავად იყო ამ ყველაფრის ორგანიზატორი. ერთი ხელით ორგანიზებას უწევდა ამ ჯგუფებს, მეორე ხელით კი ვითომ იცავდა ღონისძიებას.

ძარცვას, დარბევას, დატაცებას, იქ რომ ადამიანები დახვედროდათ, მათი განადგურების სურვილს ქრისტეს გზასთან არაფერი აქვს საერთო. ეს არის უფრო ბარაბას გზა, დარბევისა და განადგურების გზა არის ბარაბას გზა. უფრო მეტიც, კარგი იქნებოდა „კოკა-კოლებთან“ ერთად, ორგანიზატორებს წიგნებიც ჰქონოდათ, მათ შორის, სახარება, იქნებ, ამ ადამიანებს წაეკითხათ. დარწმუნებული ვარ, 99%-ს სახარება წაკითხული არ აქვს.

პირდაპირი დავალება, რომ მედია გაანადგურეთ არ იყო, სამიზნე ჯგუფი კონკრეტული საზოგადოება იყო.

მიზანი ის კი არ არის, რომ ვიღაცამ „კოკა-კოლა“ მოიპაროს, ან ვარდისფერი პარალონი. ამის მიზანია, ევროპული კურსიდან საქართველოს გადახვევა. ხალხი, რომელიც 21-ე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვის ქვებით ჩაქოლვის წესს იყენებს განსხვავებულად მცხოვრების წესის მქონე ადამიანებისთვის, ევროპაში ვერ შევა. ამ ყველაფრის სათავე და მეტასტაზი „ქართული ოცნებაა“. ის პარალონიანი ადამიანი, ის „კოკა-კოლა“ მოპარული ადამიანები, რომლებიც იქ დარბოდნენ, იყვნენ არა რომელიმე იქ მყოფი ქართველები, არამედ ყველა ის ადამიანი იყო ერთად აღებული ირაკლი ღარიბაშვილი. რამდენიმე სასულიერო პირი იყო, ვნახეთ, ადამიანზე ამხედრებული, როგორც სახედარზე, ესენი ეს რუსული მეხუთე კოლონა. ამ ხალხის დაფინანსებულია და ქრისტეს ეფარებიან, – აღნიშნა მანჯგალაძემ.

# შალვა პაპუაშვილი: „შევადაროთ ნატოს წევრ ქვეყნებს რამდენ პარამეტრში ვუსწრებთ“

– საკითხი არის იმაში, რომ არავის მიღებაზე არ არის საუბარი, ამას ცოტა რეალისტურად უნდა შევხედოთ. მათ შორის, უკრაინასთან დაკავშირებით მკაფიოდ ითქვა, რომ არ არის საუბარი მანამ, სანამ უკრაინაში ომი არ დასრულდება, – ასე უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა კითხვას, თუ რატომ არ არის საუბარი საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

მისივე თქმით, ნატომ უნდა გადაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ესწრაფვიან ნატოს წევრობას და არ უნდა დატოვოს ბუნდოვანება.

პაპუაშვილის თქმით, ერთადერთი, ვინც ამ ბუნდოვანებით სარგებლობს, არის რუსეთი.



– საუბარია იმაზე, რომ თავად ნატომ გადაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ესწრაფვიან ნატოს წევრობას და არ დატოვოს ის ბუნდოვანება, რომელიც სამწუხაროდ, დიდი ხანია არსებობს, განსაკუთრებით 2008 წლის შემდეგ, როდესაც, ერთი მხრივ, ითქვა, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, მაგრამ არ მოგვენიჭა გაწევრიანების გეგმა და შესაბამისად, შეიქმნა ბუნდოვანება და ერთადერთი, ვინც ამ ბუნდოვანებით სარგებლობს არის რუსეთი. დღეს საკითხი დგას არა ჩვენში და არა უკრაინაში, დღეს საკითხი არის ნატო-ში, რამდენად მზად არის, მიიღოს მკაფიო პოლიტიკური გადაწყვეტილებები და დაასრულოს ბუნდოვანება, – განაცხადა პაპუაშვილმა.

კითხვაზე, რატომ არ იღებს ნატოს სამიტის მუშაობაში მონაწილეობას საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, პაპუაშვილის თქმით, სხვადასხვა ფორმატია, სხვადასხვა დონეზე არიან ქვეყნები წარმოდგენილი.

მისივე თქმით, დღეს, მთავარი განსახილველი საკითხი არის უკრაინის მხარდასაჭერი პაკეტი, ამიტომ უკრაინა არის განხილვის ცენტრში.

– მე რამდენჯერმე დავასახელე, თუ რა წვლილი აქვს გაღებული საქართველოს თავისი შრომით, ინსტიტუციურად და სისხლით, მათ შორის ნატოს საერთო საკითხებისთვის და მიზნებისთვის. შევადაროთ ნატოს წევრ ქვეყნებს რამდენ პარამეტრში ვუსწრებთ. იქნება ეს ჩვენი ღვაწლი უსაფრთხოების საკითხებში, მათ შორის საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით და შევადაროთ ნატოს რამდენ წევრ ქვეყანას აქვს გაღებული იგივე ღვაწლი, რაც საქართველოს. ამ მხრივ, საქართველო პირნათელია როგორც ნატოს წინაშე, ასევე უსაფრთხოების მხრივ ყველა პარტნიორის წინაშე.

სხვადასხვა ფორმატია, სხვადასხვა დონეზე არიან წარმოდგენილი ქვეყნები. დღეს მთავარი განსახილველი საკითხი არის უკრაინის მხარდასაჭერი პაკეტი, ამიტომ უკრაინა არის განხილვის ცენტრში. ჩვენ არ ვცდილობთ, რომ ჩავანაცვლოთ ან შევეცილოთ უკრაინას იმ საკითხებში, რომელიც ეხება მის ნატო-ში გაწევრიანებას. დღეს, გამომდინარე იმ აგრესიიდან, რომელიც უკრაინის წინააღმდეგაა, თავისთავად, უკრაინა არის ყურადღების ცენტრში, – განაცხადა პაპუაშვილმა.

## ნიკა გვარამია: „მართლა პატარა სოფლად გადაგვაქცია ივანიშვილმა“

„მთავარი არხის“ დამფუძნებელი, ნიკა გვარამია აცხადებს:

– NATO მხარს უჭერს უკრაინის ალიანსში გაწევრიანებას MAP-ის გარეშე.

სტოლტენბერგი მხარს უჭერს თურქეთის გაწევრიანებას ევროკავშირში.

გეოპოლიტიკური მეორედ მოსვლაა და ამასობაში ჩვენ მართლა პატარა სოფლად გადაგვაქცია ივანიშვილმა, ყველასგან მივიწყებულ და ღვთის პირისგან გადავარდნილ, მცხეთის პერაშკების, „დარიშხანული“ საეკლესიო ინტრიგების, ლიკრის მოტკეცილი მაიკებში გამოკვართული გეების მარბიელი თავადვე გეიორკების, ქოლცენტრების და ბიტკოინების ქვეყანად.

ამ ყველაფრის შესაცვლელად „ქართველი ხალხი იმსახურებს“ არ კმარა.“

## რა შეთანხმებას მოაწერა ხელი პუტინმა ოკუპირებულ აფხაზეთზე

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა კანონს „რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის ორმაგი მოქალაქეობის საკითხების მოგვარების შესახებ შეთანხმების რატიფიცირების შესახებ“.

ცნობისთვის, რუსეთისა და დროებით ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრებმა შეთანხმებას ხელი 2022 წლის 27 სექტემბერს მოაწერეს. დოკუმენტი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მიმდინარე წლის 29 ივნისს მიიღო და ფედერაციის საბჭომ 5 ივლისს დაამტკიცა.

შეთანხმების მიხედვით, ერთი მხარის მოქალაქეებს აქვთ უფლება, მიიღონ მეორის მოქალაქეობა მოქალაქეობაზე უარის თქმის გარეშე. ასევე, გათვალისწინებულია, რომ რუსეთის მოქალაქეობის მიღებას გამარტივებული წესით შეძლებენ პირები, რომლებსაც 2008 წლის 26 აგვისტოს მდგომარეობით ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქეობა ჰქონდათ და დღემდე შეინარჩუნებული.

# ელის თუ არა რაიმე პერსპექტივა საქართველოს ვილნიუსის ნატოს სამიტზე?

**მარიამ მჭედლიშვილი**

11-12 ივლისს ვილნიუსში იმართება ნატოს მორიგი სამიტი, რომელშიც საქართველოს საგარეო მინისტრი ილია დარჩიაშვილი წარმოადგენს.

საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პარტნიორად (ასპირანტად) რჩება. ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს კონსტიტუციაში აქვს დაფიქსირებული.

დიდი ალბათობით, უახლოეს ხანში ქვეყანას ნატოში არ მიიღებენ. საამისო მზადყოფნა და პოლიტიკური ნება მსოფლიოში ჯერ არ შეინიშნება. გარდა ამისა, ისევ პრობლემატურია ნატოს სტანდარ?ებთან გათანაბრება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნატოს წევრი სახელმწიფო ვალდებულია, თავისი მშპ-ის 2% სამხედრო სფეროს დაუთმოს.

ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ნატოზე ხელი აიღოს და საკუთარი ლექსიკონიდანაც ამოიღოს. წელიწადზე მეტია, ოფიციალური პირების უმრავლესობა ჩრდილოატლანტიკურ პერსპექტივებზე არ საუბრობს, რაც უცნაურია.

## აშშ მხარს უჭერს საქართველოს ნატოსკენ სწრაფვას

რა პოზიცია უკავია პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციას საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მაშინ, როცა უკრაინაში ომი მიმდინარეობს, რუსეთი საქართველოს ოკუპაციას აგრძელებს, ქვეყანაში კი რუსული პროპაგანდა განსაკუთრებით ძლიერდება? ეს შეკითხვა „ამერიკის ხმამ“ ორიოდე დღის წინ თეთრი სახლის ადმინისტრაციას გაუგზავნა.

თეთრი სახლის პასუხში ნათქვამია, რომ საქართველო რჩება ნატოს ურყევ პარტნიორად.

– ბაიდენის ადმინისტრაცია მხარს უჭერს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, თეთრი სახლი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გაატაროს ალიანსის წევრობისათვის საჭირო სასიცოცხლოდ აუცილებელი რეფორმები.

– აშშ მხარს უჭერს საქართველოს ნატოსკენ სწრაფვას. აშშ აგრძელებს მუშაობას საქართველოსთან მისი თავსებადობის გასამყარებლად და მტკიცედ მოუწოდებს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, წინ წასწიონ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დემოკრატიული რეფორმები, რომელიც აუცილებელია ნატოში გაწევრიანებისათვის, – აღნიშნულია განცხადებაში.

პოლიტიკოსებისა და სამხედრო ექსპერტების ნაწილი ხელისუფლებას მოუწოდებდა, ეაქტიურა ვილნიუსის სამიტის წინ, რათა სამიტზე საქართველოს საკითხი უკრაინასთან ერთად განხილულიყო. ეს მოწოდებები ამაო გამოდგა.

– მნიშვნელოვანია, რომ ვილნიუსის სამიტზე საქართველო და უკრაინა არ იყვნენ ერთმანეთისაგან განცალკევებული და ამ ორი ქვეყნის მიმართ დაშვებული იყოს იგივე პრეცედენტი, რომელიც ფინეთისა და შვედეთის შემთხვევაში გამოიყენეს, – აცხადებდა დეპუტატი „რეფორმების ჯგუფიდან“ თეონა აქუბარდია.

მისი თქმით, ნატოში წევრობა უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას, რომელიც მორღვეულია რუსული ოკუპაციიდან გამომდინარე. იმავდროულად, ის ეფუძნება ჩვენს საერთო ღირებულებებს. უკრაინაში მიმდინარე ომმა კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების მომხრე მოსახლეობის რაოდენობა.

უკრაინა განსაკუთრებულ მდგომარეობაშია და ნატოს ვილნიუსის სამიტი მას საგანგებო ყურადღებას დაუთმობს. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საქართველო იქ უკრაინის გვერდით დააყენონ.

## ქვეყნების ლიდერებს ვილნიუსში სპეცდანაყოფებით, ჰაუბიცებითა და გამანადგურებლებით დაიცავენ

ვინაიდან ნატოს ახლანდელი სამიტი იმართება უკრაინაში ომის დროს, თანაც, რუსეთის საზღვრიდან 150 კილომეტრში, ლიეტუვის დედაქალაქში ნატოს სხვა ქვეყნების მონაწილეობით უსაფრთხოების საგანგებო ზომები მიიღება – ბაიდენსა და სხვა ლიდერებს სპეცდანაყოფები, ჰაუბიცები და გამანადგურებლები დაიცავენ.

წინასწარი მონაცემებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ახლანდელი სამიტი უკრაინისათვის სამხედრო და ტექნიკური დახმარების გაზრდასა და ახალ პოლიტიკურ თანამშრომლობას (სპეციალური საბჭოს სახით) გამოაცხადებს.

„ფაინენშელ თაიმსის“ ცნობით, სამიტზე იმსჯელებენ უკრაინის მხარდაჭერის მასშტაბურ შეთანხმებაზე. კერძოდ, იქმნება მრავალმხრივი




სტრუქტურა, რომლის ფარგლებში მოკავშირეები იკისრებენ ორმხრივ ვალდებულებებს კიევისთვის სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერის გასაწევად.

გადაწყვეტილია ისიც, რომ უკრაინის მიმართ მაპი, გაწევრიანების სამოქმედო პროგრამა არ ამოქმედდება. ამის მაგივრად გადაიდგმება ნაბიჯები იმისათვის, რომ უკრაინა შეესაბამებოდეს ნატოს სტანდარტებს.

ნატოს გენმდივანი იენს სტოლტენბერგი აცხადებს, რომ სამიტზე ნატოს წევრი ქვეყნები უკრაინის საკითხში ერთიანნი იქნებიან.

ნატოს სამიტის ფარგლებში გაიმართება უკრაინა-ნატოს საბჭოს პირველი სხდომა სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე. ამ საბჭოს შექმნაზე გადაწყვეტილება 5 ივლისს იქნა მიღებული.

„პოლიტიკოს“ ინფორმაციით, აშშ და გერმანია უკრაინის ნატოში მოწვევის გადავადებას ემხრობიან. იმავე წყაროს ცნობით, არსებობს სკეპტიკოსების კონტინგენტი, რომელიც მიიჩნევს, რომ უკრაინის გაწევრიანების მოწვევას ახლდეს გარკვეული პირობების შესრულების მოთხოვნა.

# სოფელ ჩალაუბანში 70 წლამდე ცოლის მკვლელობის ფაქტზე პოლიციამ 80 წლის მოხუცი დააკავა



გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბანში, 70 წლამდე ცოლის მკვლელობის ფაქტზე პოლიციამ 80 წლის ქმარი დააკავა. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, 1942 წელს დაბადებული ა.ღ. დააკავეს.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბანში, ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას ცოლს – 1953 წელს დაბადებულ ნ.ღ.-ს სანადირო თოფით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ირაკლი ზარქუა: „პატიმარი სააკაშვილი ადეკვატურიაო, როგორ გითხრათ?!“



– პატიმარი სააკაშვილი ადეკვატურიაო, როგორ გითხრათ?! – გამოჯანმრთელების შემდეგ, როგორც სხვები იხდიან სასჯელს, ისე უნდა გადავიყვანოთ საპატიმროში, ეს ამდენი შოუ და მასკარადი დასრულდა, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ირაკლი ზარქუამ საქართველოს მესამე პრეზიდენტ, მიხეილ სააკაშვილზე საუბრისას განაცხადა.

როგორც ზარქუამ აღნიშნა, მისთვის მიხეილ სააკაშვილის განცხადებები გაუგებარია.

– პატიმარი სააკაშვილი ადეკვატურიაო, როგორ გითხრათ?! ვერ არის კარგად, რა განცხადებებს აკეთებს?! დაწერს, წაშლის, განცხადებას გააკეთებს, ხან ქართულად გველაპარაკება, ხან რუსულად, ხან უკრაინულად. კაცი ვერ არის კარგად, გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. გამოჯანმრთელების შემდეგ, როგორც სხვები იხდიან სასჯელს, ისე უნდა გადავიყვანოთ საპატიმროში, ეს ამდენი შოუ და მასკარადი დასრულდა, – აღნიშნა ზარქუამ.

# ირაკლი ნადირაძე: „ბიძინა ივანიშვილი თავის უახლოეს გარემოცვას დაერია, რაც მისი „ბოლო ჟამის“ ამბავზე მეტყველებს“



– ბაჩიაშვილის საქმეზე, ჯერ ერთი, გამოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილი ბიტკოინების საქმიანობაში თავიდან ბოლომდე იყო ჩართული და მეორე ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის უახლოეს გარემოცვას დაერია, რაც მისი ბოლო ჟამის ამბავზე მეტყველებს, – ამის შესახებ განცხადებას საკრებულოს, ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, ირაკლი ნადირაძე ავრცელებს.

მისივე თქმით, აღნიშნული საქმე, შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილის „შავ-ბნელ საქმიანობასა და სანქციებთან დაკავშირებული საქმეების შესახებ ინფორმაციის გაჟონვას უკავშირდებოდეს“.

– ბაჩიაშვილის საქმე ძალიან საინტერესო „ქეისია“. ჯერ ერთი, ამან გამოაჩინა, რომ ბიძინა ივანიშვილი ბიტკოინების საქმიანობაში თავიდან ბოლომდე იყო ჩართული. იმ ბიტკოინების, რომლის გამოც, ჩვენს მოსახლეობას განახევრების ნაცვლად, დენის ტარიფი გაუძვირდა და მეორე, ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის უახლოეს გარემოცვას დაერია. ესეც მისი ბოლო ჟამის ამბავზე მეტყველებს და არ არის გამორიცხული, მის შავ-ბნელ საქმიანობასა და სანქციებთან დაკავშირებული საქმეების შესახებ ინფორმაციის გაჟონვას უკავშირდებოდეს.

ამიტომ, ჩვენ, ბიძინა ივანიშვილის გარშემო ალაპარაკებული ხალხი ძალიან მალე უნდა ვიხილოთ, რომელიც მის რუსეთთან კავშირებზე მოჰყვება და იმასთან დაკავშირებით, როგორ ათეთრებდა ის ფულს სხვადასხვა მიმართულებით, – აცხადებს ირაკლი ნადირაძე.

# გიგა ბოკერია: „უკრაინა ნატო-ს წევრი გახდება, რაც შეეხება საქართველოს, საოცრება უნდა მოხდეს, ჩვენ, უბრალოდ, უნდა გაგვიმართლოს“



– უკრაინა ნატო-ს წევრი გახდება. რაც შეეხება საქართველოს, საოცრება უნდა მოხდეს, ჩვენ, უბრალოდ, უნდა გაგვიმართლოს, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარემ, გიგა ბოკერიამ განაცხადა.

მისივე განმარტებით, ტრაგიკულია ის ფაქტი, რომ ამ მხრივ საქართველომ არაფერი გააკეთა.

– როგორც კი უკრაინაში ომის აქტიური ფაზა მორჩება და დარწმუნებული ვარ, რომ მორჩება უკრაინის გამარჯვებით, უკრაინა გახდება ნატო-ს წევრი. ეს ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენთვის ტრაგიკული ამბავია, რომ ჩვენ გვყავს რეჟიმი, რომელსაც არათუ არაფერი გაუკეთებია, რომ საქართველო ამავე კონტექსტში ყოფილიყო და ეს ნაბიჯი გადაგვედგა, არამედ პირიქით, ამის საწინააღმდეგოდ იმუშავა. საოცრება უნდა მოხდეს, ჩვენ, უბრალოდ, უნდა გაგვიმართლოს, რომ უკრაინას საქართველო მიჰყვეს, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

მისივე თქმით, საბოლოო შედეგი, ნატოს წევრობა, ამ რეჟიმის პირობებში, მისი შეცვლის გარეშე შეუძლებელია.

# სტოლტენბერგი: „უკრაინა NATO-s წევრი გახდება“

– ყველა მოკავშირე თანხმდება, რომ უკრაინა NATO-ს წევრი გახდება. დარწმუნებული ვარ, რომ სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები უკრაინის შესახებ ძლიერი და პოზიტიური იქნება. ახლა განვიხილავთ პაკეტს, რომელიც წარმოვადგინეთ ოსლოში, პრაქტიკულ დახმარებაზე უკრაინისთვის და მისი ძალების თავსებადობაზე ალიანსის ძალებთან, უფრო ძლიერ პოლიტიკურ კავშირებზე NATO-სა და უკრაინის საბჭოს შექმნით და შემდეგ MAP-ის მოხსნაზე. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ეხება უკრაინის დაახლოებას წევრობასთან. გავიმეორებ ისევ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება ყველა მოკავშირის თანხმობის შემდეგ.

ნაადრევია, ზუსტად გამოვაცხადოთ კონკრეტული გადაწყვეტილებების და კონკრეტული ფორმულირების შესახებ. მუდმივად ვიმეორებთ, რომ მოკავშირეებმა და უკრაინამ უნდა გადაწყვიტონ, რა დრო იქნება შესაფერისი უკრაინის სრულფასოვან წევრად მიწვევისთვის. ახლა ყველაზე სასწრაფო ამოცანაა, უზრუნველყოფილი იყოს უკრაინის, როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყნის გამარჯვება. – განაცხადა NATO-ს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა.

NATO-ს სამიტი ვილნიუსში, 11-12 ივლისს გაიმართება.

# კობა ხარშილაძე: „თუ გაიგეთ, რაში იყო კომპანია „გრინ სერვისი“ დამნაშავე, მე ხელები ამიწევია“

– თუ თქვენ ან ვინმე მეტყვის, რომ რეალურად გაიგეთ, რაში იყო კომპანია დამნაშავე, მე ხელები ამიწევია, – ამის შესახებ კომპანია „გრინ სერვისის“ ერთ-ერთმა მეწილემ, კობა ხარშილაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში ვაკის პარკის ტრაგედიის საქმეზე ბრალდებულებისთვის განაჩენის გამოტანის შემდეგ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, საქართველოში შადრევნისთვის ყველა საჭირო მასალა საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა და შემდეგ ჩინელმა ინჟინერმა დაამონტაჟა.

კობა ხარშილაძის თქმით, ის პასუხისმგებლობის ჩინელი ინჟინრისთვის გადაბარებას არ ითხოვს, თუმცა სურს, რომ კითხვებს პასუხი გაეცეს და სიმართლე გაირკვეს.

– „გრინ სერვისმა“ სამუშაოების დაწყება საზღვარგარეთ დაუკვეთა. ყველა მასალა, მათ შორის, სადენები საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა. ამის შემდეგ საქართველოში იყო ჩინელი ინჟინერი, რომელმაც ეს ყველაფერი დაამონტაჟა. კითხვა უნდა დასმულიყო, თუ რა იყო შეცდომა. თუ თქვენ ან ვინმე მეტყვის, რომ რეალურად გაიგეთ, რაში იყო კომპანია დამნაშავე, მე ხელები ამიწევია. ვერცერთ მანიშნებელს ვერ ნახავთ, რომელიც გეტყვით, რომ დანაშაული კონკრეტული რაღაცის გამო მოხდა. მე პასუხისმგებლობის ჩინელ ადვოკატზე გადატანაზე არ ვსაუბრობ. მე მაინტერესებს, რამ გამოიწვია ეს გამოუსწორებელი ტრაგედია. ჩვენი ადვოკატები ნამდვილად სვამდნენ კითხვებს, თუმცა არცერთ ეტაპზე, მათ პასუხი არ მიუღიათ. რაც არ უნდა შეცდომა გვქონოდა, დაცვის სისტემას უნდა ემუშავა და ეს ასე




არ მოხდა. თუ რატომ, ეს გასარკვევია, – განაცხადა კობა ხარშილაძემ.

ცნობისთვის, საქალაქო სასამართლომ „ვაკის პარკში“ მომხდარი ტრაგედიის საქმეზე ბრალდებული 9 პირიდან რვას პატიმრობა შეუფარდა.

მოსამართლე ლაშა კლდიაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ: „გრინსერვისი+“-ის დირექტორს, ლაშა ფურცხვანიძეს – 6 წლით, მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს, გიორგი ვახტანგიშვილის – 3 წლით, დევი კახოიძეს – 3 წლით, ნუგზარ ქიტიაშვილს – 3 წლით და 6 თვით, დავით თუშიშვილი – 3 წლით 6თვით, გიორგი გობეჯიშვილს – 4 წლით, ლაშა ჭილიტაშვილს 3 წლით და ბექა მურღვლიანს – 3 წლით, ვალერი გობეჯიშვილი კი გამართლდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიაზე საქმის წარმოება 2 ეპიზოდად გაიყო. მეორე ეპიზოდებზე განხილვა არ დასრულებულა.

## ვაზისუბანში ბაბუა და შვილიშვილი დაჭრეს — დაკავებულია ერთი პირი



თბილისში, ვაზისუბანში ბაბუა და შვილიშვილი დაჭრეს. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდებს შორის დაწყებული ურთიერთშელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რის შედეგადაც, ორი მოქალაქე დაიჭრა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით დაიწყო, რაც სხეულის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

## კასპის მუნიციპალიტეტში მომხდარი დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

კასპის მუნიციპალიტეტში მომხდარი დაჭრის ფაქტზე სამართალდამცავებმა ერთი პირი დააკავეს. არსებული ინფორმაციით, დაპირისპირება ურთიერთშელაპარაკებას მოჰყვა.




დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

როგორც „ შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაწყებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) მუხლებით.

## ვაკის პარკის საქმეზე გამართლებული პირი: „სასამართლოსგან სულ სხვა რაღაცას ველოდით“

ვალერი გობეჯიშვილი, რომელიც ვაკის პარკის ტრაგედიის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ გაამართლა აცხადებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებიდან „სულ სხვა რაღაცას ელოდა“.



აღნიშნულის შესახებ ვალერი გობეჯიშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომელიც პატიმრობიდან მოსამართლემ სხდომათა დარბაზიდანვე გაათავისუფლა, ხოლო მისი ძმა გიორგი გობეჯიშვილი სხვა ბრალდებულებთან ერთად პატიმრობაში დატოვა.

– ელექტრო კაბელის იზოლაცია არ დაზიანებულა, მუშაობის დროს ნამდვილად არ დაზიანებულა... სულ სხვა რაღაცას ველოდით, მე იმასაც არ ველოდი, რომ აქ ვიქნებოდი, მაგრამ დღესდღეობით ასეა, – განაცხადა ვალერი გობეჯიშვილი.

როგორც პროკურორმა არჩილ ტყეშელაშვილმა ჟურნალისტებთან განამარტა, აღნიშნული პირი იყო შემდუღებელი ხელოსანი, ის ძმასთან (გიორგი გობეჯიშვილი) ერთად მონაწილეობდა შედუღების სამუშაოებში, მისი როლი ძმასთან შედარებით ნაკლები იყო ამ სამუშაოსთან მიმართებაში. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მისი ბრალეულობა არ დასტურდებოდა.

## აგარასთან ავარიას ერთი პირი ემსხვერპლა



ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარასთან მომხდარ ავარიას ერთი პირი ემსხვერპლა. „სამხრეთის კარიბჭის“ ინფორმაციით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფს კაცი გარდაცვლილი დახვდა.

შემთხვევის შედეგად დაშავებული მეორე მგზავრი კლინიკაშია გადაყვანილი.

დამატებითი დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

# გიორგი ბაჩიაშვილის ადვოკატი: „ბიძინა ივანიშვილის ადვოკატის პრეტენზიები თავხედურად არ შეესაბამება სიმართლეს“

– წიქვაძის პრეტენზიები თავხედურად არ შეესაბამება სიმართლეს – ეს ნამდვილად სირცხვილია საქართველოსთვის, – ამის შესახებ თანაინვესტირების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის, გიორგი ბაჩიაშვილის ადვოკატი რობერტ ამსტერდამი აცხადებს, რითაც „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის უფლებადამცველის თეიმურაზ წიქვაძის განცხადებას ეხმაურება.



რობერტ ამსტერდამის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილი ღიად აჩენს თავის პერსონას ამ ბრალდებაში.

– ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენელი თეიმურაზ წიქვაძე განცხადებას აქვეყნებს, სადაც ჩემს კლიენტს, გიორგი ბაჩიაშვილს თავს ესხმის. წიქვაძის პრეტენზიები თავხედურად არ შეესაბამება სიმართლეს. ნუ მიიღებთ ჩემს სიტყვას და თავად შეხედეთ საჩივარს, რომელშიც არის დოკუმენტი, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ამ ყალბი საქმის მთელ წინაპირობას.

საერთაშორისო სამართლის 40 წელზე მეტი ხნის პრაქტიკაში, ვერ ვიხსენებ, რომ მსგავსი არარსებული მტკიცებულებებით ყოფილიყოს საქმე წარმოდგენილი, ფაქტი, რომელიც ზემოთ მოყვანილი განცხადებით კიდევ მეტად დადასტურდება. ეს ნამდვილად სირცხვილია საქართველოსთვის. ახლა, როდესაც ბიძინა ივანიშვილი ღიად აჩენს თავის პერსონას ამ ბრალდებაში და როდესაც მისი წარმომადგენელი აღიარებს, რომ საქმე მთლიანად მის მიერ არის განპირობებული და არ არის დაფუძნებული რაიმე რეალურ გამოძიებაზე, ეს აბსოლუტურად ხაზს უსვამს მის უკან არსებულ პოლიტიკურ მოტივაციას და ბიძინას გადაწყვეტილებას, რომ გამოიყენოს სახელმწიფო, რათა შელახოს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი გიორგი ბაჩიაშვილის საქმიანი რეპუტაცია. ამ ცრუ ბრალდებებით ისინი შორს ვერ წავლენ. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ სიმართლის გამოსავლენად, – აცხადებს რობერტ ამსტერდამი.

ცნობისთვის, დღეს, თანაინვესტირების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის, გიორგი ბაჩიაშვილის საქმესთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილის ადვოკატმა განცხადება გაავრცელა. ივანიშვილის უფლებადამცველის თეიმურაზ წიქვაძის განცხადებით, თანაინვესტირების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის, გიორგი ბაჩიაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მის პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირება, „ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებაა“. წიქვაძე სოციალურ ქსელში ბაჩიაშვილის წინააღმდეგ დაწყებული სისხლისსამართლებრივი საქმის დეტალებს ჰყვება. მისი განმარტებით, ბრალდებული მრავალი წლის განმავლობაში ივანიშვილთან დაახლოებულ პირი იყო და მისი განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა.

მისივე ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილმა გიორგი ბაჩიაშვილის მიერ ბიტკოინების მაინინგთან დაკავშირებული საკითხი მხოლოდ მას შემდეგ შეისწავლა, რაც კითხვები გაჩნდა თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელობით მიმდინარე „მტკვარი ჰესის“ პროექტისა და თავად ბაჩიაშვილის კეთილსინდისიერების მიმართ.

## ბათუმში რესტორანში კაცი დაჭრეს

ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთ რესტორანში ერთი ადამიანი დაჭრეს. ინფორმაციას „ტვ 25“ ავრცელებს და წერს, რომ შემთხვევა 10 ივლისს, გვიან ღამით მოხდა.




კაცს ჭრილობა ცივი იარაღით მიაყენეს.

საერთაშორისო

## ბლინკენი აღფრთოვანებულია

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ბლინკენი უკრაინელების ერთიანობით და ვაჟკაცობით აღფრთოვანებულა. ომი უკვე 500 დღეზე მეტი გრძელდება. მიუხედავად ამისა, უკრაინელები არ ფიქრობენ არავითარ კაპიტულაციაზე.



## ზელენსკი პოლონეთის პრეზიდენტს შეხვდა

უკრაინულ ქალაქ ლუცკში უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი თავის პოლონელ კოლეგა დუდას შეხვდა. შეხვედრას დაესწრნენ უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის თავკაცი ეპიფანე და ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაური.



ზელენსკიმ და დუდამ დაწვრილებით მიმოიხილეს ვითარება, რომელიც ნატოს ვილნიუსის სამიტის წინ შეიქმნა. დუდამ ხაზი გაუსვა, რომ პოლონეთი მუდამ მხარს უჭერდა და მომავალშიც მხარს დაუჭერს უკრაინის ნატოში ინტეგრაციას.

## რუსები ავდეევკასთან გააქტიურდნენ

ბახმუტის გარდა საომარი მოქმედებები უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზეც გრძელდება. რუსები გააქტიურდნენ ავდეევკასთან, მაგრამ ვითარების შეცვლა თავიანთ სასარგებლოდ ვერ შესძლეს. ოკუპანტებმა დიდი დანაკარგებით დაიხიეს უკან.



მსგავსი ვითარებაა მარინკასთანაც, თუმცა ხსენებული დასახლებული პუნქტი აღარ არსებობს. იქ, სადაც ოდესღაც მარინკა იყო, მხოლოდ ნანგრევებია. მათ ნაწილზე უკრაინული დროშა ფრალებს, ნაწილზე კი რუსული.

გართულდა ვითარება უგლედართან. ოკუპანტები დარწმუნდნენ, რომ ამ ქალაქს ვერ აიღებენ. ახლა უგლედარზე სახმელეთო შეტევები აღარ მიმდინარეობს. სამაგიეროდ, ქალაქის დაბომბვა მკვეთრად გააქტიურდა.

რაც შეეხება მდგომარეობას ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქებში, აქ უკრაინელები წინსვლას განაგრძობენ. ამაოა ოკუპანტების ყველა მცდელობა, ისინი შეაჩერონ. არ წყდება დივერსიები ბერდიანსკში, მარიუპოლში, აგრეთვე ყირიმში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბახმუტი უკრაინული არმიის ალყაშია



რუსეთის ურაინაში შეჭრისთანავე რუსულმა მედიამ გაავრცელა ცნობა, რომ ბახმუტი (რუსული ტერმინოლოგიით არტიომოვსკი) აღებულია. ამის თაობაზე პირველად ოდიოზურმა რუსმა პროპაგანდისტმა სკობეევამ განაცხადა. შემდეგ მას მხარი აუბა მარგარიტა სიმონიანმა.

უკრაინელთა პასუხმა არ დააყოვნა. ჟურნალისტმა ოლგა კალინოვსკაიამ ბახმუტიდან პირდაპირი რეპორტაჟი გადასცა. იქ გარკვევით ჩანდა ვეებერთელა უკრანული დროშა ქალაქის თავზე. უკრაინული არმიის სარდალმა გენერლმა ზალუჟნიმ კი განაცადა:

– ბახმუტი ახალ სტალინგრადად გადაიქცევა! ეს უკრაინული სტალინგრადი იქნება!

პასუხად პუტინმა ბახმუტზე შეტევების გაძლიერება ბრძანა. ამას შედეგები არ მოჰყოლია. მაშინ რუსეთის დიქტატორმა ბახმუტში ვაგნერელთა ბანდები გადაისროლა. მათ იმხანად პუტინის ფავორიტი პროგოჟინი მეთაურობდა. ვაგნერელთა პირველი იერიშები კრახით დასრულდა. პუტინმაც ვაგნერის ფორმირება სისხლის სამართლის დამნაშავეებით შეავსო. ვაგნერელებს ბრძოლა არ სურდათ, ამიტომ მათ უკან დაუყენეს კადიროველთა ბანდები. ისინი ზურგში ესროდნენ ყველას, ვინც ბრძოლის ველს თვითნებურად მიატოვებდა.

ვაგნერელებს რუსი მედესანტეები წაეხმარნენ. დასაწყისისათვის ქალაქში შეჭრა მოხერხდა, თუმცა უკრაინელები წინააღმდეგობას განაგრძობდნენ. ბახმუტის აღება მტერმა ვერ შესძლო. ამას მოჰყვა კონფლიქტი პრიგოჟინსა და პუტინს შორის. ეს ძირითადად იმ დანაკარგებმა განაპირობა, რაც ვაგნერმა ბახმუტთან განიცადა.

შემდეგ იყო პრიგოჟინის ამბოხი და მისი მეომრების მიერ ბახმუტის დატოვება. უკრაინელებმა კი კონტრშეტევები გააძლიერეს. უკრაინული არმია ბახმუტში ქუჩას ქუჩაზე ათავისუფლებდა. პარალელურად ძლიერდებოდა უკრაინელთა შეტევები ფლანგებზე. ოკუპანტებს არ შეეძლოთ მათი შეკავება. ნელ-ნელა რუსები ფლანგების უმრავლესობიდან გამოაძევეს.

გასაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კლესჩივკის აღებას. უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანა მალიარმა ამის შესახეს თქვა, რომ ბახმუტი უკვე უკრაინული არმიის ოპერატიულ ალყაშია.

ოპერატიული ალყა ნიშნავს შემდეგს: ა) რუსებს აღარ ჰყოფნით საბრძოლო მასალა იმისათვის, რომ საბრძოლო ოპერაციები აწარმოონ; ბ) არასაკმარისია ცოცხალი ძალა; გ) უკრაინელები საშუალებას არ აძლევენ რუსებს დატოვონ ბახმუტი და ალტერნატივის წინაშე აყენებენ, ან დანებება, ან სიკვდილი.

ინგლისის დაზვერვის ანალიზით, რუსეთს არა გააჩნია რესურსები იმისათვის, რომ ბახმუტი შეინარჩუნონ. დღეს ძნელია ზუსტი თარიღის დასახელება, თუ როდის გამოაცხადებს ბახმუტში გამაგრებული რუსული გარნიზონი კაპიტულაციას. შეიძლება ითქვას მხოლოდ შემდეგი: ბახმუტის ოკუპაციის დღეები დათვლილია.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: უკრაინელმა ალპინისტმა ტატიანა სამოილოვამ ევერესტი დალაშქრა. მან მწვერვალზე უკრაინული დროშა აღმართა.

ევერესტზე ეროვნული დროშის აღმართვა ნათლად გვიჩვენებს იმ ეროვნულ აღტკინებას, რომელიც უკრაინაში რუსების შეჭრამ გამოიწვია. ბახმუტისათვის ბრძოლებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა უკრაინული ნაციონალიზმის ძალა.

## თეთრი სახლი საქართველოს მხარს უჭერს

აშშ მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას ევროკავშირისა და ნატოსაკენ. ამის თაობაზე განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა კირბიმ. თეთრი სახლის წარმომაგენელი ისეთ მტკივნეულ საკითხსაც შეეხო, როგორიცაა ლგბტ უმცირესობის ფესტივალი. მან აღნიშნა, რომ ასეთი ფესტივალები საზოგადოების დიდი ნაწილის აგრესიას იწვევს და აუცილებელია საკითხის ცივილური წესით გადაწყვეტა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## ცუდი თამაში უელსთან

**საქართველო-უელსი 21:40**

**პაოლ. გიმნაზიუმი**



უმცროსმა ბორჯღალოსნებმა მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის მე-5 ადგილის ნახევარფინალში უელსის ნაკრებთან 21:40 დამარცხდა და 14 ივლისს, მე-7 ადგილისთვის ახალ ზელანდიელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან.

უელსთან გამართული შეხვედრის საწყისი 20 წუთი საქართველოსი იყო. ამ პერიოდში მეტოქე ორჯერ დაჯარიმდა დასარტყმელ პოზიციაში და პეტრე ხუციშვილმა ორივე შესაძლებლობა გამოიყენა – 6:0. ლადო კილასონიას შეგირდები უპირატესობას ფლობდნენ შერკინებაში, აკონტროლებდნენ ბურთს და წინა მატჩებისგან განსხვავებით, თითქმის უშეცდომოდ თამაშობდნენ დერეფანში, მაგრამ შემდეგ თავი შეცდომებმა და უდისციპლინობამ იჩინა.

რადგან ხშირად ვჯარიმდებოდით, რეფერიმ 36-ე წუთზე თორნიკე კახოიძეს ყვითელი ბარათი აჩვენა და მეტოქემ რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა. მათმა მოლმა შეძლო წინააღმდეგობის დაძლევა, ლელოს კი ზუსტი გარდასახვა მოჰყვა და უელსი 7:6 დაწინაურდა. საქართველოს მალევე შეეძლო პასუხის გაცემა, ამჯერად ჩვენმა მოლმა დაფარა 5 მეტრი, მაგრამ უელსი დაჯარიმდა, განმეორებით დერეფანში კი, შეცდომა პირველად დავუშვით და ტაიმიც დასრულდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში უელსმა ერთხელაც ისარგებლა რიცხობრივი უპირატესობით, მოლიდან ბურთი ხაზზე გავიდა, იქ ლუი ჰენესი ლელოში დიდი სიჩქარით შევიდა. თამაში რომ განახლდა შერკინებამ კიდევ ერთხელ გამოიმუშავა ჯარიმა, რასაც დერეფნიდან აგორებული მოლი მოყვა, რომელმაც დაახლოებით 23 მეტრი დაფარა და გიორგი მამაიაშვილმა სწრაფი ლელოთი უპასუხა. გარდასახვა მიზანს ასცდა – 11:14.

ამას დაახლოებით 10-წუთიანი ჩავარდნა მოჰყვა. ჩვენს 22-ში არაზუსტი პასების გამო უელსისგან ორი ლელო მივიღეთ და სხვაობა 15 ქულამდე გაიზარდა. უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ძალები მოიკრიბეს და მეტოქეს მაგრად მიეძალნენ, მაგრამ მეტოქე კარგად დაგვიხვდა. თუმცა, ხშირი ჯარიმების გამო, 10 წუთით კაცნაკლული დარჩა. 65-ე წუთზე მათ კიდევ ერთ კარგ მოლს ველარაფერი მოუხერხეს და თამაზ ჭამიაშვილმა ლელოთი სხვაობა 10 ქულამდე დაიყვანა.

თამაშის გადასარჩენად დრო საკმარისი იყო, მაგრამ უელსმა თავად შეძლო მოლით მორიგი ლელოს გატანა და, ფაქტობრივად, გამარჯვება გაიფორმა. უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ბოლომდე იბრძოლეს და 78-ე წუთზე ლამაზი ლელო გაიტანეს. დავით ხუროშვილმა ბურთი გელა ხელაძეს გაატანა, რომელმაც თავის მხრივ სისწრაფეში მყოფ თორნიკე კახოიძეს პასი არ დაუგვიანა და ქართველმა ცენტრმა მცველთან კონტაქტში ბურთი ლელოში დაამიწა. მატჩის მიწურულს 22-ში კიდევ ერთხელ დავუშვით შრცდომა, რითაც უელსმა ისარგებლა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 40:21.

მე-5 ადგილის მეორე ნახევარფინალში ავსტრალიამ კაცნაკლული ახალი ზელანდია 46:35 დაამარცხა. შედეგად, საქართველო მე-7 ადგილისთვის „უმცროს ოლ ბლექსს" შეხვდება, მე-5 ადგილისთვის კი უელსი და ავსტრალია იბრძოლებენ.

**ლადო კილასონია:**

– პირველი ტაიმის პირველ ნახევარში ტაქტიკურად სწორად ვთამაშობდით და ამან შედეგი მოიტანა. ამის შემდეგ სათამაშო დისციპლინა დაგვერღვა, რითაც კარგად ისარგებლა უელსის მაღალი დონის გუნდმა. მათ არაფერი დაგვითმეს და დღეს ჩვენზე ერთი თავით მაღლა იდგნენ. ახლა უნდა დავისვენოთ, გვექნება ვიდეო-ანალიზი და მოვემზადებით ახალ ზელანდიასთან თამაშისთვის.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კალეიდოსკოპი

## ქალმა დათვს ცხვირში მუშტი უთავაზა – შეშინებული დათვი გაიქცა



ამერიკის მენის შტატის ქალაქ პორტერის მცხოვრები ქალი თავისი ძაღლის გადასარჩენად შავ დათვს დაუპირისპირდა და მტაცებელ ცხოველს აჯობა.

პარასკევს, 30 ივნისს, ლინ კელი ბაღში მუშაობდა, როდესაც, მოულოდნელად, მისი ძაღლი აყეფდა და იქვე ახლოს მდებარე ტყისკენ გაიქცა. ხანდაზმული მას უკან მიჰყვა იმის გასაგებად, თუ რაში იყო საქმე. უცებ ტყიდან ძაღლი გამოვარდა, რომელსაც უკან შავი დათვი მოსდევდა.

– კელი დათვის პირისპირ აღმოჩნდა. მტაცებელი უკანა ფეხებზე აღიმართა, რის პასუხად ქალიც მთელი თავისი სიმაღლით გაიჭიმა, შემდეგ კი დათვს ცხვირში მუშტი ჩასცხო, – ნათქვამია შტატის თევზის რესურსებისა და ბუნების დაცვის დეპარტამენტის ანგარიშ-მოხსენებაში.

ცხვირში დარტყმის მიღების შემდეგ დათვმა ქალს ხელში თათი ჩაარტყა, შეტრიალდა და ტყისკენ გაიქცა. ქალმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა, რომელმაც ის საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მას ჭრილობა დაუმუშავეს. დეპარტამენტის თანამშრომლების თქმით, აღნიშნული დათვი, რომელიც მზესუმზირისა და ფრინველების საკვებით იტკბარუნებდა პირს, აღნიშნულ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრეც შენიშნეს ქალაქის გარეუბანთან. კელისთან დაპირისპირების შემდეგ კი მტაცებელი ცხოველი აღარ გამოჩენილა.

## 44-კილოგრამიანი ლოქო შიშველი ხელებით დაიჭირეს



ამერიკის ტეხასის შტატში მეთევზეებმა შიშველი ხელებით 44-კილოგრამიანი ლოქო დაიჭირეს.

ჯასტინ უაიტმა და დრიუ მურმა ტბა ტავაკონიზე ხიდის ბეტონის თალებქვეშ თევზებით სავსე ადგილს მიაგნეს. პირველ დღეს მათ ორი დიდი ლოქო დაიჭირეს, თითოეულის წონა 13 კილოგრამს აღემატებოდა.

ორი კვირის შემდეგ ისინი იმავე ადგილზე დაბრუნდნენ და წვიმის და ჭექა-ქუხილის გამო ისევ ბეტონის თაღებს შეეფარნენ. გამოდარების შემდეგ კი წყალქვეშ ყვინთვის მოწყობილობით ტბაში ჩაყვინთეს.

– საჭირო იყო ორი მეტრის გაცურვა ბეტონის გადახურვის ქვეშ იმ ადგილამდე, სადაც თევზები გვეგულებოდნენ, – იხსენებს მური.

როდესაც ისინი უზარმაზარ ლოქოს მიუახლოვდნენ, რომელიც წყლის სიღრმეში იმალებოდა, ის მათკენ იერიშზე გადავიდა. მძიმე ბრძოლის შემდეგ მეთევზეებმა მტაცებელი თევზის დამორჩილება შეძლეს, მათ თევზი პირით და ლაყუჩებით დაიჭირეს და შემდეგ მისი ნაპირზე ამოყვანა მოახერხეს.

უაიტმა და მურმა ნადავლის აწონა სცადეს, თუმცა ერთმა სასწორმა 46,7, ხოლო მეორემ 49 კილოგრამი აჩვენა. მაშინ მათ გადაწყვიტეს ოფიციალურ აწონაზე წაეყვანათ. გზაში მათ ყოველ ორ წუთში გაჩერება და თევზის წყლით გაგრილება უხდებოდათ, იმისთვის, რომ ის ადგილამდე ცოცხალი უნდა მიეყვანათ.

ოფიციალურმა აწონვამ აჩვენა, რომ თევზი 44,7 კილოგრამს იწონიდა. მეთევზეებს იმედი აქვთ, რომ მათ ნადავლს ოდესმე შიშველი ხელით დაჭერილ ლოქოებს შორის ყველაზე დიდ თევზად აღიარებენ.

## ნაპირზე გამორიყული დელფინები გადაარჩინეს



დიდ ბრიტანეთში მონიფეტის პლაჟზე მოხალისეებმა და საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თავთხელ წყალში გამორიყული დელფინები გადაარჩინეს.

ზღვის ცხოველები პლაჟზე ოთხშაბათს, 5 ივლისს დილით შენიშნეს. მათ დასახმარებლად ადგილზე მოხალისეები და სამაშველო ნავების სამეფო ეროვნული ინსტიტუტის წარმომადგენლები მივიდნენ.

სამაშველო ოპერაცია 90 წუთს გრძელდებოდა. შედეგად ორი დელფინი წარმატებით იქნა გადაყვანილი ღრმაწყლოვან ადგილას და გაუშვეს.

## ქალი უძველეს ვაზას კარის დამჭერად იყენებდა



ვაზა, რომელიც დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა საქველმოქმედო მაღაზიაში ძალიან იაფად შეიძინა, უძველესი რელიქვია აღმოჩნდა, რომლის ფასი ათასობით ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

23 წლის მერი ლოულერმა ვაზა საქველმოქმედო მაღაზიაში შეიძინა და სახლში მას შემდეგ მიიტანა, როდესაც დედამ მას სთხოვა, რომ რაიმე ნივთი შეეძინა ახლად შეკეთებული ტუალეტის დასამშვენებლად. გოგონამ ვაზაში 8,5 ფუნტი გადაიხადა. თავიდან ვაზა ტუალეტში იდგა, შემდეგ კი ის შემოსასვლელში გადაიტანეს და კარის დამჭერად გამოიყენებოდა.

ლოულერს მანამდე არ უფიქრია ვაზის ღირებულებაზე, სანამ მისი მსგავსს ტელევიზორში ნახავდა. ტელეგადაცემაში ამტკიცებდნენ, რომ მისი ფასი ხუთიდან 10 ათას ფუნტამდე იქნებოდა. ამის შემდეგ გადაწყვიტა ქალმა, ვაზა სპეციალისტისთვის ეჩვენებინა. აუქციონის სახლის ექსპერტებმა გულდასმით დაათვალიერეს ვაზა და დაასკვნეს, რომ ის ჩინეთში იყო დამზადებული მინის დინასტიის დროს, რომელიც ქვეყანას 1368-დან 1644 წლის ჩათვლით მართავდა. მათი აზრით, აღნიშნული ნივთის ფასი მინიმუმ ოთხი ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენდა.

ახლა ვაზას სოფოლკის საგრაფოში აუქციონზე გასაყიდად გასატანად ამზადებენ და სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მისი ფასი კიდევ უფრო გაიზრდება.

## ძაღლი დათვს შეებრძოლა და პატრონი გადაარჩინა



ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის დასახლება ნარეინაპენში ძაღლმა თავისი პატრონი დათვის თავდასხმისგან დაიცვა.

40 წლის ფერმერი გასიარამი მეგობრებთან და ძაღლთან ერთად ტყეში ნახირის მოსაძებნად წავიდა. იქ მათ თავს ძუ დათვი დაესხა სამი ბელით. როგორც ჩანს, ცხოველმა ისინი თავისი შთამომავლობისთვის საფრთხის შემცველად მიიჩნია.

გასიარამის მეგობრები ხეზე აძვრნენ, თუმცა თავად ფერმერმა მტაცებლისგან თავის დაღწევა ვერ მოასწრო. მაშინ მისი ძაღლი დაეძგერა მტაცებელს და ბრძოლა გაუმართა. დათვის და შინაური ცხოველის დაპირისპირება რამდენიმე წუთს გაგრძელდა და მხოლოდ მას შემდეგ დასრულდა, როდესაც ძაღლის პატრონმა დასამალ, უსაფრთხო ადგილს მიაგნო.

ძაღლი პატრონთან მას შემდეგ დაბრუნდა, როდესაც დათვი გააქცია. გასიარამმა კი მტაცებელთან შეჯახების შედეგად სხეულის რამდენიმე ადგილას დაზიანებები მიიღო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩაკვეტაძეს მეცში ელოდებიან, პარკაძე ბაიერნის განაცხადშია



ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს კითხულობთ, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი გიორგი ჩაკვეტაძე, შესაძლოა, ფრანგული მეცის ფეხბურთელი იყოს. ბელგიელი ჟურნალისტის, საშა ტავოლიერის ცნობით, ფეხბურთელი ხელშეკრულებას ფრანგულ კლუბთან გუშინ გვიან გააფორმებდა. გუნდთან, სადაც გიორგი მიქაუტაძე თამაშობს და მომავალ სეზონში ლიგა 1-ში იასპარეზებს.

ჟურნალისტის განცხადებით, მეცსა და ბელგიურ გენტს შორის შეთანხმება მიღწეულია და ფრანგული კლუბი ჩვენებურს ერთწლიანი იჯარის წესით წაიყვანს.

ჩაკვეტაძე გენტის საკუთრება 2024 წლამდეა, მაგრამ ბოლოს სლოვაკურ სლოვანში ასევე იჯარის წესით თამაშობდა, სადაც 47 მატჩი ჩაატარა. ჩაკვეტაძის მონაგარი გოლი და 9 საგოლე პასია.

კიდევ ერთი სასიამოვნო ინფორმაცია: გერმანიაში საფეხბურთო სეზონი 12 აგვისტოს იწყება, მანამდე კი, მიუნხენის ბაიერნი ახალი სეზონისთვის მოემზადება. ბუნდესლიგის ჩემპიონმა პირველი წინასასეზონო შეკრების განაცხადი გამოაქვეყნა და ტომას ტუხელის სიაში ქართველი ნახევარმცველი ლუკა პარკაძეც მოხვდა, რომელიც პირველ შეკრებას ბავარიული კლუბის მთავარ გუნდთან ერთად გაივლის. 18 წლის პარკაძე სიაში 33-ნომრიანი მაისურით არის შეყვანილი.

ცნობილია მოსამზადებელ ეტაპზე ბაიერნის ამხანაგური მატჩების განრიგი და მეტოქეების ვინაობაც. ცხადია, მეტოქეებიც სახელოვანი ჰყავს...

ტუხელის შეგირდები პირველად მანჩესტერ სიტისთან ითამაშებენ, შემდეგ იაპონურ კავასაკის გაეჯიბრებიან, ხოლო ბოლოს ურთიერთობას ლივერპულთან გაარკვევენ.

ახალი სეზონს კი, მიუნხენელები გერმანიის სუპერთასით დაიწყებენ და ლაიფციგის წინააღმდეგ ითამაშებენ, 18 აგვისტოს კი, ბუნდესლიგის პირველ ტურში, ბრემენში ვერდერს ესტუმრებიან.

# ნუკრი რევიშვილი: გიორგი კვერნაძეს შეუძლია შეტევაში ნებისმიერ პოზიციაზე ითამაშოს




ქართველი ფეხბურთელის, გიორგი კვერნაძის აგენტმა ნუკრი რევიშვილმა, რომელიც საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარეა, იტალიურ მედიასთან ისაუბრა.

შეგახსენებთ, კვერნაძე რამდენიმე დღის წინ სერია ა-ს კლუბის, ფროზინონეს რიგებში ჩაირიცხა.

**ნუკრი რევიშვილი:**

– ყველაფერი გაზაფხულზე დაიწყო, რადგან მივხვდით, რომ ფროზინონეს ინტერესი სერიოზული იყო. ამ ტრანსფერში შუამავალმა, დარიო პაოლილომ დიდი როლი ითამაშა. როცა დაგვიკავშირდა, მაშინვე მივხვდით, გიორგის მიმართ ინტერესი რამდენად დიდი იყო. მერე კი, მამუკა ჯუღელმა (ასევე კვერნაძის აგენტია) საქმე დაასრულა და კვერნაძეც სერია ა-ს ფეხბურთელი გახდა.

გიორგი არის ფეხბურთელი, რომელიც ბურთთან ერთად ძალიან სწრაფია, ეს ერთ-ერთი მისი ძლიერი მხარეა. დრიბლინგების მეშვეობითა და ბურთის ფლობით რიცხობრივი უპირატესობის შექმნა შეუძლია. გარდა ამისა, შეუძლია შეტევაში ნებისმიერ პოზიციაზე ითამაშოს.

დღეს გიორგის ბევრი ხვიჩას ადარებს, მაგრამ, ჩემი აზრით, სრულიად განსხვავებული ფეხბურთელები არიან. ამასთან, კვერნაძეს ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. გიორგი ოპტიმისტია. პირველად რომ ვნახე, 17 წლის იყო და მისი თამაშით გაოცებული დავრჩი. ვუსურვებ, რომ ფროზინონესთან ერთად დიდ შედეგებს მიაღწიოს. ვურჩევდი, იშრომოს და მიღწეულით არასდროს დაკმაყოფილდეს.

ფროზინონემ კვერნაძე ფოთის კოლხეთიდან ერთწლიანი იჯარითა და გამოსყიდვის უფლებით აიყვანა.

იტალიური კლუბი სერია ა-ს პირველ ტურში 19 აგვისტოს გამართავს და კვარაცხელიას ნაპოლის უმასპინძლებს.

# დე ხეამ მანჩესტერი დატოვა



12-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ მანჩესტერ იუნაიტედის ესპანელმა მეკარემ, დავიდ დე ხეამ „ოლდ ტრაფორდი" დატოვა. ჯამში დავიდმა „წითელი ეშმაკების" ღირსება 454 მატჩში დაიცვა. ესპანელი მეკარე ფერგიუსონის ეპოქის ბოლო ჯარისკაცია, რომელიც ამჟამინდელი მწვრთნელის, ერიკ ტენ ჰაგის საფეხბურთო სტილის ცვლილებას შეეწირა. დღევანდელ ნიდერლანდელი სპეციალისტის აზრით, მეკარის როლმა ფეხბურთში ევოლუცია განიცადა და ვალდებულია ფეხით კარგად ითამაშოს. ეს კი, დევიდის მთავარი მინუსია.

**დე ხეამ გუნდიდან წასვლის შესახებ განაცხადება თავად გააკეთა:**

– ეს გზავნილია იუნაიტედის ყველა გულშემატკივრისთვის. მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელსაც თქვენგან 12 წლის განმავლობაში ვგრძნობდი. როცა, სერ ალექსმა გუნდში მომიყვანა, ერთად ამდენს თუ მივაღწევდით, ვერ წარმომედგინა.

როდესაც ამ მაისურს ვიცმევდი, სიამაყეს ვგრძნობდი; როდესაც მოედანზე გამოვდიოდი, ამ სტრუქტურის, მსოფლიოს უდიდესი კლუბის წარმომადგენლობა პატივი იყო, რადგან მსგავსი რამ მხოლოდ რამდენიმე იღბლიან ფეხბურთელს რგებია.

ეს ჩემს კარიერაში დაუვიწყარი ეპიზოდი იყო. ახლა საუკეთესო პერიოდია იმისთვის, რომ ახალი გამოწვევები მივიღო და საკუთარი თავი ახალ გარემოში გამოვცადო. მანჩესტერ იუნაიტედი ყოველთვის ჩემს გულში იქნება.

დე ხეა მანჩესტერს 2011 წელს მადრიდის ატლეტიკოდან შეუერთდა. ესპანელმა გუნდთან ერთად პრემიერლიგის, ინგლისის თასის, ლიგის თასის (2-ჯერ), სუპერთასისა (3-ჯერ) და ევროპა ლიგის მოგება შეძლო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# შვიდკაცა ნაკრებმა საქმე გაირთულა



საქართველოს 7-კაცამ რაგბი ევროპის ჩემპიონატში ორი ეტაპის ჯამში მე-6 ადგილი დაიკავა და მსოფლიო სერიის შესარჩევ, საკონტინენტთაშორისო ტურნირში ითამაშებს.

ჩვენმა 7-კაცამ ევროპის ჩემპიონატის პირველ, ალგარვეს ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავა, რითაც 18 სარეიტინგო ქულა მიითვალა. მეორე, ჰამბურგის ეტაპზე კი, საქართველო მე-9 ადგილზე (4 ქულა) გავიდა და ჯამში 22 ქულა მოუგროვდა.

გეტყვით, რომ ჩელენჯ სერიაში ევროპიდან სამი საუკეთესო გუნდი გადის. რადგან ირლანდია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ესპანეთი მსოფლიო სერიის ძირითად ბადეში არიან, ევროპის სამი საუკეთესო გუნდი პორტუგალია, საქართველო და გერმანია გახდნენ. სწორედ ისინი ჩაერთვებიან შესარჩევ, ჩელენჯ სერიაში.

ჰამბურგის ეტაპზე საქართველოს არ გაუმართლა. როგორც წესი, ჯგუფურ ეტაპზე თითო მოგება და ფრე მეოთხედფინალის საგზურს იძლევა, მაგრამ ამ შემთხვევაში, დანარჩენ ორ ჯგუფში სამ-სამ გუნდს ორ-ორი მოგება დაუგროვდა. შესაბამისად, ჩვენი 7-კაცა ჯგუფში დაკავებული მესამე ადგილით ქვედა ოთხეულში დარჩა.

პირველ მატჩში, რუმინეთთან, ჩვენები 19:7 დაწინაურების შემდეგ მოეშვნენ, ორი ლელო გაუშვეს და მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ – 19:19. სწორედ ამ მატჩმა დაგვხია უკან...

იტალიასთან მატჩი ლაშა ლომიძის გარღვევით დაიწყო, რომელმაც მარცხენა ალამთან გიორგი ჯობავას ლელო გაატანინა. იტალიამ თავის ნახევრიდან დაწყებული შეტევით საპასუხო ლელო მიითვალა და გარდასახვით დაწინაურდა, რასაც შეცდომების სერია და მეტოქის მეორე გარდასახული ლელო მოჰყვა.

მეორე ტაიმში იტალიამ მესამედ შესლო ლელოს გატანა და გარდასახვაც კვლავ ზუსტი იყო, თუმცა, მერე ყვითელი ბარათით ორი მოთამაშე დაკარგა და ამით ჩვენმა გუნდმა ისარგებლა. გიორგი ჭუაძემ და გიორგი ჯობავამ ლელოები გაიტანეს, სოსო მათიაშვილმა ერთი გარდასახა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა – 17:21.

იმისათვის, რომ საქართველო ორ საუკეთესო მესამეადგილოსანს შორის მოხვედრილიყო, აუცილებელი იყო პორტუგალიის დამარცხება, რომელიც ბოლო წლებში დაუძლეველ მეტოქედ რჩებოდა. დაიწყო თუ არა შეხვედრა, ჯობავამ ორ მცველს აუარა გვერდი და 4 პორტუგალიელის ესკორტით, 90-მეტრიანი გაქცევა ლელოთი დააგვირგვინა. მათიაშვილმა გარდასახა. შესვენებამდე პორტუგალიამ ორჯერ შესძლო ლელოს გატანა და ერთი გარდასახვა ზუსტად შეასრულა.

მეორე ტაიმი რომ დაიწყო, ჯობავა ორ მცველს ერთხელაც დაუსხლტა და მისი ლელო მათიაშვილმა გარდასახა. მალე ლაშა ლომიძემ გაგა ქევხიშვილის კარგი პასის შემდეგ უპირატესობა 7 ქულამდე გაზარდა. პორტუგალიამ დასკვნით წუთებში მაგრად შემოგვიტია, მაგრამ საქართველომ თავგანწირული დაცვით შესძლო სასურველი შედეგის შენარჩუნება – 19:12.

საქართველომ კი მოიგო, მაგრამ პარალელურ ჯგუფებში ჩვენთვის არასასურველი შედეგები დაფიქსირდა და საქართველოს მე-9 ადგილისთვის მოუწია ბრძოლის გაგრძელება.

მე-9 ადგილის ნახევარფინალში, ჩეხეთთან, ჯობავა-მათიაშვილი-ჯობავას გათამაშება ამ უკანასკნელის ლელოთი და მათიაშვილის გარდასახვით დასრულდა. ტაიმის ბოლოს მეტოქემ წონასწორობის აღდგენა შეძლო, მაგრამ მეორე ტაიმში გათამაშებული კარგი კომბინაცია გაგა ქევხიშვილის ლელოთი და სერგო ჩხაიძის გარდასახვით დასრულდა და ანგარიში აღარ შეცვლილა – 14:7.

მე-9 ადგილისთვის იმ რუმინეთს შევხვდით, რომელმაც ჯგუფურ ეტაპზე გეგმები აგვირია. ანგარიში ჯობავამ გახსნა, რომელმაც დაახლოებით 60 მეტრი ირბინა, მერე ბურთი ორივე ფრთაზე ჩათამაშდა და ლელო იერიშის დამწყებმა გაიტანა, ხოლო სერგი ჩხაიძემ გარდასახა. მერე ლაშა ლომიძე გაექცა მცველს და 12:0 დავწინაურდით, თუმცა, ტაიმის მიწურულს დაშვებულ ორ შეცდომას ორი ლელო მოჰყვა და ანგარიში გათანაბრდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში გაგა ქევხიშვილისა და ბექა გელხვიძის კარგი თამაშის შემდეგ, ირაკლი სიმსივე მბოჭავს ტრიალში დაუსხლტა და საქართველო დააწინაურა. დასკვნით წუთებში მოედანზე კაცნაკლული დავრჩით, მაგრამ თავი დავიცავით, რუმინეთთან 17:12 მოგებით რევანში ავიღეთ და ჰამბურგის ეტაპი მე-9 ადგილზე დავასრულეთ.

ჰამბურგის ეტაპის ფინალში ესპანეთმა საფრანგეთი 21:19 დაამარცხა და პირველ ადგილზე გავიდა. სატიტულო თამაში ქართველმა რეფერიმ, სულხან ჩიხლაძემ განსაჯა. მესამე ადგილისთვის ირლანდიამ დიდი ბრიტანეთი 12:7 დაამარცხა. მე-5 ადგილზე გერმანია გავიდა, რომელმაც პორტუგალიას 26:12 სძლია.

სერიის გამარჯვებული 36 ქულით ირლანდია გახდა. მეორე ადგილი საფრანგეთმა დაიკავა (34), მესამეზე ესპანეთი (30), ხოლო მეოთხეზე დიდი ბრიტანეთი (28) გავიდა. პორტუგალიამ და საქართველომ 22-22 ქულა მოაგროვეს, გერმანიამ – 20, ხოლო იტალიამ – 14.

# რაგბი ევროპის სუპერთასი ახალი ფორმატით გაიმართება




2023 წლის რაგბი ევროპის სუპერთასი ახალი ფორმატით ჩატარდება. მოგეხსენებათ, ამ ტურნირში შავი ლომიც თამაშობს, რომელიც დეკემბერში ჩელენჯ თასზეც ითამაშებს.

შეგახსენებთ, გასულ წელს რაგბი ევროპის სუპერთასზე ორი ქართული გუნდი მონაწილეობდა – მეორე გუნდი ბათუმი იყო, მაგრამ ზღვისპირელები წელს მონაწილეთა შორის არ არიან.

რვა გუნდი კვლავ ორ დივიზიონში იქნება გადანაწილებული: ა ჯგუფში გათამაშების ორგზის ჩემპიონ შავი ლომთან ერთად, ისრაელის თელ-ავივ ჰიტი, პორტუგალიური ლუზიტანუში და ესპანურ იბერიანსი მოხვდნენ. ბ ჯგუფში კი, ჩეხური ფრანჩაიზი ვორიორზი, ბელგიური ბრიუსელ დევილსი, ნიდერლანდური დელტა და რუმინული ვულვზი.

ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ სამი საუკეთესო გუნდი ა ჯგუფიდან და ბ ჯგუფის გამარჯვებული ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობს, ხოლო დანარჩენი ოთხი გუნდი მეხუთე-მერვე ადგილებისთვის ითამაშებს. ასეთი უჩვეულო ფორმატი იმით არის გამოწვეული, რომ, ორგანიზატორების აზრით, ა ჯგუფის გუნდები ბ ჯგუფზე ბევრად ძლიერებია. შედეგად, სამი გუნდის გასვლის შესაძლებლობას აძლევენ.

ტურნირი 5 ნოემბერს დაიწყება. ფინალური მატჩი კი 17 დეკემბერს გაიმართება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დონ-კიხოტის სატრფოს სახელი; 2. არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს მიმსგავსებული ნივთი; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 7. ყურის ანთება; 9. იტალიური სამოდელო ფირმა; 12. შუშხუნა ღვინოების დასაყენებელი ჰერმეტული რეზერვუარი; 14. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 15. ნიადაგის გამაფხვიერებელი კულტივატორი; 17. ჩინელი ფილოსოფოსი; 20. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე.

**თარაზულად:** 5. წითელი ფერის მშრალი, ქართული სამარკო ღვინო; 6. იტალიური რესტორანი; 8. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 10. ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 11. მეფის მრჩეველი; 13. რაიმეს განხილვა შეფასების მიზნით; 16. ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებელი; 18. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 21. ესპანური ავიაკომპანია; 22. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 23. განცალკევებული საკანი საპატიმროში პატიმრის მკაცრი დასჯისთვის.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სოლისიტორი; 2. მაჟალო; 3. პლანიცა; 4. დანია; 5. სერჟანტი; 6. ჰეკლა; 7. ცანგალა; 9. მარულა; 13. დიეზი; 17. ქადა; 18. ლიე.

**თარაზულად:** 1. სუნიზმი; 3. პლეადა; 8. პეპელა; 10. გარინჩა; 11. ისტრი; 12. ჯანდარა; 14. ატელიე; 15. არაბიკა; 16. ტაქსა; 19. ვაზარი; 20. ნიორაძე; 21. სუბარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვიბრაცია; 2. ბოლტი; 3. მანსარდა; 4. ღალატი; 7. კრიჟი; 9. ჯუნტა; 12. აბასთუმანი; 14. ტეხური; 15. ილუმენი; 17. ბაირამი; 20. აკინი.

**თარაზულად:** 5. სიმბიოზი; 6. იზაბელა; 8. კეჩქერი; 10. ლაჟვარდი; 11. სინხუა; 13. ანალები; 16. ტალავერი; 18. თართი; 19. ლუვრი; 21. იკორთა; 22. ინსულინი; 23. ჰოფმანი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

11 ივლისი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.5894 | ევრო — 2.8372 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3134 | 100 რუსული რუბლი — 2.8300 |

**ამინდის პროგნოზი 11 ივლისისათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბარსელონამ ფერან ტორესი ტრანსფერზე დააყენა



ბარსელონას თავისი ფორვარდის ფერან ტორესის გაყიდვა სურს, რადგან ის ბარსელონას გეგმებში არ შედის, თუმცა თვითონ ტორესს ბარსელონას დატოვება არ უნდა და თვლის, რომ გუნდი მას უსამართლოდ ექცევა. კატალონიური გუნდი ტორესის ტრანსფერში 40 მილიონის მიღებას აპირებს და ფორვარდის შეძენით რამდენიმე ინგლისური კლუბია დაინტერესებული.

## გვარდიოლა: „სიტიში ძალიან ბედნიერი ვარ“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ ის სიტიში ძალიან ბედნიერია და სურს, რომ ამ გუნდში კიდევ დიდხანს დარჩეს. გვარდიოლას აზრით, მას კიდევ შეუძლია სიტისთან ერთად წარმატების მიღწევა:

– სიტიში ჯერ ყველაფერი არ გამიკეთებია და მინდა, რომ კიდევ არაერთხელ გავახარო ამ გუნდის გულშემატკივარი, რადგან ისინი ამას იმსახურებენ. მომავალში ზუსტად რა მოხდება ვერ ვიტყვი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ნინო ბაშარული მონატრებულ მსმენელს შეხვდება



მომღერალი ნინო ბაშარული მონატრებულ მსმენელს 22 ივლისს თუშეთში შეხვდება და მათთვის სპეციალურად მომზადებული საკონცერტო პროგრამით იმღერებს:

– დიდი ხანია შემოქმედებითი საღამო არ მქონია და აი, დადგა ეს დღეც, როცა უნდა დავუბრუნდე ჩემს ნამდვილ დანიშნულებას. ცოტა ვღელავ, მაგრამ მჯერა, ყველაფერს დავძლევ სიყვარულით. ერთი კი ვიცი, რომ ძალიან ბედნიერი ქალი ვიქნები, რადგან ზეცაში გამოკიდულ თუშეთს ჩემი სიმღერებით მოვეფერები.

ჩემი აკომპანიატორი იქნება ჩემი მეგობარი, გენიალური გიტარისტი, გიორგი ფხალაძე.

საღამო გაიმართება 22 ივლისს ომალოში.

## მედეა კუჭუხიძე 86 წლის გახდა



რეჟისორი მედეა კუჭუხიძე თეატრის უხუცესი ქართველი რეჟისორია. მას 86 წელი შეუსრულდა.

დაბადების დღე რეჟისორს მისმა უმცროსმა კოლეგამ დიმიტრი ხვთისიაშვილმა მიულოცა:

– უხუცესი ქართველი რეჟისორი (თეატრის) ქალბატონი, საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი მედეა კუჭუხიძე იუბილარია! ასაკს არ მალავს, ამიტომ მეც გავამხელ – 86 წლის გახდა.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, არაჩვეულებრივ რჩევებს გაძლევს, განსაკუთრებით პროფესიულ რჩევებს ვგულისხმობ. მასთან ურთიერთობა, როგორც ქართული თანამედროვეობის ერთ-ერთ გამორჩეულ ინტელექტუალთან, ყოველთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია. თუ ვინმეს შეიძლება ეწოდოს ერუდიტი ჩვენი პროფესიის ადამიანებს შორის. ქალბატონი მედეა ერთი უპირველესთაგანია.

ინტერესთა სფერო მრავალმხრივია: თეატრი თავისთავად, ლიტერატურა, ხელოვნების ყველა დარგი, ფილოსოფია, ფიზიკა...

როგორც რეჟისორს ძალიან მნიშვნელოვანი სპექტაკლები შეუქმნია. მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრს არ ვგულისხმობ. ამ თეატრში ხომ პრაქტიკულად მთელი ცხოვრება გაატარა.

ვგულისხმობ თუნდაც რუსთაველის თეატრში დადგმულ „შუშის სამხეცეს“, ან გრიბოედოვის თეატრში დადგმულ „ანა ფრანკის დღიურს“, ან ვგულისხმობ იმ კვალს, რომელიც რაოდენობაში კი არ გადაიზარდა, არამედ ხარისხში. არ არის ადვილი ერთი ან ორი დადგმით ამა თუ იმ თეატრის ისტორიაში შენი პატარა ფურცელი შექმნა. მან ეს დასახელებული 2 თეატრის ისტორიაში მოახერხა. ან თუნდაც სანკულტურის თეატრში დადგმული „მე მჯერა შენი“ ნამდვილად ახალი და თან გაბედული სიტყვა იყო ამ თეატრის ისტორიაში. მიხარია, რომ ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში მოზარდმაყურებელთა თეატრში მომეცა შესაძლებლობა, მას სპექტაკლი დაედგა, ჩვენვე გავმართეთ რეჟისორის 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოც. 90 წლისთავსაც სიამოვნებით გავუძღვები და ამ დროისთვის მის დადგმულ რამდენიმე ახალ სპექტაკლსაც ვისურვებდი. ღმერთმა ჯანმრთელობა და დღეგრძელობა მისცეს ჩვენს დიდ ქალბატონს, უფროს მეგობარსა და კოლეგას – მედეა კუჭუხიძეს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

ტელეფონის ზარი:

– ალო, სახანძროა?

– დიახ. რა გნებავთ?

– იცით, აქ ექიმი და პოლიციელი ჩხუბობენ...

– მერე, აქ რას რეკავთ?

– აბა, სადღა უნდა დავრეკო?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– კიდევ კარგი, ჩვენი დეპუტატები იარაღის ლეგალიზების კანონს არ იღებენ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ეს მათ მიერ მიღებული ბოლო კანონი იქნებოდა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– არ ფიქრობთ, რომ ახლა კინოში მეტისმეტად ბევრია სექსი და ძალადობა?

– არ ვიცი, კინოში მე ეკრანს ვუყურებ და არა იმას, რა ხდება დარბაზში.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ხვალ მანქანის საყიდლად მინდა წასვლა და ვინ წავიყვანო, რომ კომპანიონობა გამიწიოს?

– გიგი წაიყვანე.

– რატომ?

– გუშინწინ ლუდზე გავაგზავნე და ორი ბოთლი არაყი მოიტანა. ასე რომ, შეიძლება მანქანის საყიდლად წასული უკან იახტითა და „ვერტალიოტით“ დაბრუნდე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## პაპუნა შარიქაძე: „მე მეძახიან ურჯულოს და სატანისტს“

პიანისტი და მომღერალი პაპუნა შარიქაძე ბრისტეს სახელის ძალადობას გმობს და გული წყდება, რომ ურჯულოსა და სატანისტს ეძახიან:



– ჩემი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა, ქრისტიანობა რომ დაამახინჯეს, თავიანთ ვიწრო ცნობიერებას მოარგეს და ქრისტეს სახელით ძალადობა გამართლებული გახადეს. ჩემთვის ძვირფასი კაცის სწავლებები თავდაყირა დააყენეს და აქეთ მე მეძახიან ურჯულოსა და სატანისტს.

## ლადო ათანელი თბილისში კონცერტს გამართავს



ოპერის მომღერალი ლადო ათანელი თბილისში მონატრებულ მსმენელს შეხვდება და კონცერტს გამართავს.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მომღერალი მისივე კონკურსის გამარჯვებულ ოპერის მომღერლებთან მარიკა მაჩიტიძესა და ანა იმედაშვილთან ერთად წარსდგება მსმენელის წინაშე.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრს მაესტრო ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს.

საკონცერტო პროგრამაშია არიები და დუეტები იტალიური, ფრანგული და გერმანული ოპერებიდან.

## ნატალია ქუთათელაძემ სანტიაგოს ეროვნულ ოპერაში იმღერა



ოპერის მომღერალმა ნატალია ქუთათელაძემ ჩილეში, სანტიაგოს ეროვნულ ოპერაში სადებიუტო სპექტაკლში იმღერა.

ქართველმა მეცო სოპრანომ ჟორჟ ბიზეს „კარმენში“ მთავარი პარტია შეასრულა და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება, ხანგრძლივი აპლოდისმენტები და მქუხარე ოვაციები დაიმსახურა.

## ქეთი დოლიძის სპექტაკლი ედინბურგის ფესტივალზე გათამაშდება



რეჟისორ ქეთი დოლიძის ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი „უფრო ძლიერი“ ედინბურგის ფრინჯ ფესტივალზე გათამაშდება.

კინომსახიობთა თეატრი ედინბურგში ავგუსტ სტრინდბერგის „უფრო ძლიერის“ ბრიტანულ პრემიერას აგვისტოში გამართავს.

წელს თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრისა და „ესემბლი“ ფესტივალის თანამშრომლობის 35 წლის იუბილეა, ამიტომ შოტლანდიაში ამ გასტროლს ისტორიული მნიშვნელობაც აქვს.

პიესა სტრინდბერგისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობრიობის, ქალის როლის ფუნდამენტური დუალიზმის, სიღმისეული ანალიზისა და ამავდროულად დახვეწილი ირონიის შესანიშნავი მაგალითია, რომელსაც კრიტიკოსები დრამატურგის ინოვაციადაც მიიჩნევდნენ.

სპექტაკლი ორ ენაზე – ინგლისურ და ქართულ ენებზე იქნება წარმოდგენილი და მასში 3 მსახიობი მონაწილეობს: თამარ ბზიავა, ირინა გიუნაშვილი და ცოტნე მეტონიძე.

## მარგარეტ დაიაური ეროვნული ბიბლიოთეკის გუნდს შეუერთდა



დიზაინერი და მხატვარი მარგარეტ დაიაური საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გუნდს შეუერთდა და სულ მალე ათასობით მსმენელს რადიოწამყვანის ამპლუაში მოევლინება.

ინფორმაცია ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ გაავრცელა:

– ჩვენს გუნდს ხევსური მარგარეტ დაიაური შემოუერთდა. მარგარეტი შატილში ცხოვრობდა და წლობით ასწავლიდა, ის ეროვნული ბიბლიოთეკის რადიოს გუნდის წევრი იქნება და გაუძღვება რუბრიკას „მთის ხმა“ – საქართველოს მთიანი სოფლების შესახებ.

## გიორგი პაპკიაური: „მიხედეთ საკუთარ ცხოვრებას!“



ასე მოუწოდებს მომღერალი და მხატვარი გიორგი პაპკიაური ყველას:

– რაღაც ძაან გავუტიეთ მგონი. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ნებისმიერი ძალადობის, მით უმეტეს, ბავშვებზე, მაგრამ... მშობელმა შვილს ყურიც უნდა აუწიოს, ბაკებიც, თუ საჭიროა (ტაკოზეც) წამოარტყას და კუთხეშიც დააყენოს.

ეს რა ტენდენცია წამოვიდა? უცხო ადამიანებს ფოტოებს უღებთ და დაათრევთ კედელ-კედელ, ლანძღავთ, აგინებთ, არცხვენთ. ასე ადამიანი შეიძლება თვითმკვლელობამდე მიიყვანოთ! რა უბედურება გჭირთ?

დედას კი არა, ჩემს მასწავლებლებს აუწევიათ ჩემთვის ბაკები და დავუსჯივარ საკმაოდ მკაცრად, მაგრამ ქვეყანა არ დაქცეულა. დღეს რო მომხდარიყო ეგ, მთელი სკოლა და პლუს 90% მშობლების ნაციხრები იქნებოდნენ. არავინ არავის ეკითხება, მე ჩემს შვილს როგორ ავღზრდი და რა მეთოდებს მივმართავ, ჩემზე მეტად მისთვის კარგი არავის ენდომება, ზუსტად ვიცი! ეს სეირის მოყვარული, უსაქმური ხალხი ბევრად საშიშია, ვიდრე ყურის აწევა! იმ მშობლის ადგილას თქვენი თავი წარმოიდგინეთ, რომელსაც კედელ-კედელ დაათრევთ. ასე დაუკითხავად ფოტოების გადაღება და გავრცელება კანონით უნდა ისჯებოდეს!

პ.ს რამე არ მოგწონთ, რამე საშიში დააფიქსირეთ? გამოუძახეთ შესაბამის სამსახურს, პატრულს ან სოცმუშაკს! რა საჭიროა ეს (ლინჩის წესით გასამართლება)?! მიხედეთ საკუთარ ცხოვრებას!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ქართველი შტანგისტი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 2. შენიშვნა, დამატებითი განმარტება ტექსტში; 3. ადგილი, სადაც არის ბუნებრივი პირობები მკურნალობისა და დასვენებისთვის; 4. ფულის ერთეული პოლონეთში; 5. ატომური ბომბით დანგრეული ქალაქი იაპონიაში; 6. ბაღჩეული ხილი; 7. უძველესი ქართული სარიტუალო ცეკვა, რომელიც სრულდებოდა ახალ წელს; 9. შტატი აშშ-ში; 13. ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 17. მდინარის ქვიანი ნაწილი; 18. არაბეთის ზღვისპირა კურორტი ინდოეთში.

**თარაზულად:** 1. ბუნებაში, გარემოში საორიენტაციო ხელსაწყო; 3. დღენაკლული ჩვილის სარეაბილიტაციო სპეციალური აპარატი; 8. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 10. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 11. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 12. ლიხტენშტეინის მთავართა ტიტული; 14. იაროსლავ ჰაშეკის ნაწარმოების პოპულარული პერსონაჟი; 15. ნიდერლანდელი ფილოსოფოსი; 16. ესპანური სპორტული გაზეთი; 19. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 20. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 21. ნავთობის რაოდენობის საზომი ერთეული.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა